ცალკეული ნომერი — ფასი 7 კაპ. — ხუთშაბათი, 30 მარტი, 1917 წ.

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ხარჯი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", почт. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირს 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში— 80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით 15 X 2 ღირს 6 მ.; 20 X 2 ღირს 8მ., 15 X 2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კოლანდაძის სტამბაში) გვერდ. 8ჯერ. დამატებითი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 71 — ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი — № 71

# გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში

27 მარტს, დილით, ხანგრძლივის ავადმყოფობით გარდაიცვალა

## ეკატერინე კასრაძისა

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულმოკლული მეუღლე გრიგოლ ილარიონის ძე კასრაძე პატარა შვილებითურთ ვახტანგითა და მარიამით, მამა მღვდ. ქრისტეფორე ჩარკვიანი, ძმები და დები კოტე, პეტია, მარიამ და სოფიო ჩარკვიანები, დედამთილი ნინო ეგნატეს ასული კასრაძისა, მულები ანეტა, ოლღა, ეკატერინე, ელენე, თამარ და ევდოკია კასრაძენი და მაზლები დათიკო და ვასილი.

პანაშვიდები ყოველ დღე ბინაზე, კირპიჩნი ტუპ. II, № 3. გამოსვენება ხუთშაბათს, 30 მარტს, წირვა და შესვენება ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში, ხოლო დაკრძალვა მოხდება ნინო წმიდის სასაფლაოზე. (2—633—2)

„საქართველოს" კონტორა აცხადებს, რომ იმ წლიურ ხელის მომწერთ, ვინც 5 აპრილამდე არ შემოიტანს ხვედრ ფულს, გაზეთის გზავნა მოესპობათ

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი მოთავსებულია ახალ ქართულ განკის შენობაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა. ვისაც საორგანიზაციო საქმეები აქვს, პირდაპირ იქ უნდა მიმართოს

დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოთი—5—9-მდე. შემოწირულებას მიიღებენ როგორც აქ, ისე „საქართველოს" რედაქციაშიაც.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ - დემოკრატიული პარტიისათვის. შემოწირულება მიიღება „საქართველოს" რედაქციის კანტორაში.

## მოწოდება

ქართველო ხალხო, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ეხწრაფეთ დაიმუშავეთ ყოველივე ნაძერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დათესეთ საქართველო უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უხამინელეს კარზე მომლოდარ ხიფათს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ძლიერ ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისა იმედი ნუღარ გაქვთ.

მიიღეთ ფრანგულ აგრეშუმის ჭიის თესლი ცნობილ ფირმებისა

## ბერჟენი

და

ჩვენ მიერ საკუთრად შეკვეთილი ოთხკუთხიან კოლოფებში.

კოლოფებზე გამოხატულია სამფეროვანი ფრანგული ბაირაღი და შავი არწივი ყვითელ ფონზე. მიმართეთ: ტ. ხ. მირზაიანცს, თბილისი, განოვის ქ. № 8. ტელეფონი 13—58. ტელეგრამით ტიგრან მირზაიანცს, თბილისში. (10—576—2)

## განყენებული პოლიტიკა და ავტონომია

განყენებული მსჯელობა პოლიტიკური საკითხების გადაჭრის დროს სასურველ შედეგს აროდეს იძლევა. მაგალითად, ჩვენის ავტონომიის ბედს მოვიყვანთ. თითეული მოქალაქე, ჯგუფი, თუ ეროვნება ამ საერთო თავისუფლების ჟამს თავის საკუთარ თავისუფლებას ანხორციელებს. ახალმა მთავრობამ ყველას აღუთქვა თავისუფლება მოქალაქეობრივი, სარწმუნოებრივი, ეროვნული. ამ თავისუფლებათა საფუძველზე ყველა აწყობს თავის ცხოვრებას და მართვა-გამგეობას. თავისუფლად გამოხატავენ თავის სურვილებს, თავისუფლად სწერენ, იკრიბებიან. ყველა ეროვნებანი—უკრაინელები, ფინები, ლატვიელები მშვიდობიანად ახორციელებენ აღთქმულ ეროვნულ თავისუფლებას და ახალ მართვა-გამგეობას აწყობენ ავტონომიურ ნიადაგზე. ეს ხდება ბუნებრივად, სტიქიურად. არავის უთანხმოებას და უკმაყოფილებას არ იწვევს. არც რევოლიუციონურ ცეცხლს ანელებს და არც ეროვნულ ძალებს ასუსტებს. მაგრამ ეს ყველგან ასე არა ხდება. მოიპოვებიან ისეთი პოლიტიკოსებიც, რომელნიც ფეხს ისე არ გადასდგამენ, რომ მსოფლიოს არ გამოეხმაურონ: როგორს საერთაშორისო განწყობილებას შექმნის ეს ჩემი ნაბიჯი, როგორ შეხედავს ამას რევოლუციონური რუსეთიო და სხ. ასეთი კითხვები უნდა გამოარკვიონ მათ, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებენ. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი ქვეყანა ასეთი პოლიტიკოსებით მჭიდროდ არის დასახლებული და ამით აიხსნება, რომ ჩვენი პოლიტიკური განვითარება, დიდი ხანია, ბუნებრივს გზას დაშორებულია.

რუსეთის სახელმწიფოს მთელი წყობილება დაირღვა და ხელახლად შენდება. ეს ახალი სახელმწიფო თავისუფლების საფუძველზე უნდა აიგოს და ყოველი მოქალაქე, ყოველი რუსეთის შემადგენლობა ამ ახალს აღმშენებლობაში თავის თავისუფლებას ანხორციელებს. რომელი გონიერი ადამიანი მოუცდის ამ უსაზღვრო გარდაქმნის დასრულებას და მანამდე ბორკილების ახდას არ მოინდომებს?.. ასეთები მხოლოდ ჩვენში მოიპოვებიან. ქართველმა ხალხმა მოინდომა თავის უფლებების განხორციელება საკუთარ მართვა-გამგეობის მოწყობით, მაგრამ მას უკიჟინეს—ვინ იცის, ამას როგორ შეხედავს რევოლიუციონური რუსეთიო? შეიძლება მან გამოთიშვა და გამოყოფა დაგვწამოსო. ჩვენმა საზოგადოებამ ეკლესიის თავისუფლების აღდგენა განიზრახა, აქაც დაუშალეს და ასევე რუსეთის რევოლიუცია დაიმოწმეს. რჩება უცვლელად სასამართლო, სკოლა, თითქმის ყოველივე. რადა? რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა მოუცადოთო. მაგრამ ვინ იცის, ის როდის შეიკრიბება, და როდესაც შეიკრიბება, ჯადოსანი ხომ არ არის, რომ ერთ დღეს გარდაქმნას უზარმაზარი სახელმწიფო! ამას წლები დასჭირდება. მანამდის ძველი სამართალი, ძველი სკოლა, მართვა-გამგეობა?.. ასეთი შედეგები გამოიღო ჯერ-ჯერობით ჩვენს სამშობლოში განყენებულმა პოლიტიკამ.

სხვა ეროვნებანი თავის ეროვნულ უფლებებს უკვე ანხორციელებენ. თავის ფარგლებში აწყობენ თავის ადმინისტრაციას, სამართალს, სკოლას და ეს არავის წინააღმდეგობას და ბრძოლას არ იწვევს. მოაწყობენ ავტონომიურად თავის მართვა-გამგეობას და შემდეგ წარსდგებიან მთელის რუსეთის კრებულის წინაშე. აქ, შესაძლოა, მცირე შესწორებები შეიტანონ მათს ნამოქმედარში და უფლებრივ ფორმებში ჩამოასხამენ იმ ცვლილებებს, რომელნიც ბუნებრივის გზით მოხდა. ამ დროისთვის ამ ეროვნებებს უკვე მოწესრიგებული ექნებათ ავტონომიური მართვა-გამგეობა და შედგენილი კონსტიტუცია ამ ავტონომიისა. რუსეთის დამფუძნებელი კრება ანგარიშს გაუწევს მათ და კიდეც დირსეულად დააფასებს ამ ეროვნებათა თავისუფლების წყურვილს. ჩვენში კი ჰგონიათ, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება ჩვენს უფლებებს მხოლოდ მაშინ აღიარებს, თუ ჩვენ მის წინაშე წარვდგებით ძველს ბორკილებში მონურ უღელ ქვეშ მოხრილი... და განა ვინმე რაიმე ანგარიშს გაუწევს იმ ერს, რომელიც საერთო გარდაქმნითა და საერთო თავისუფლებით ასე სარგებლობს?

ც. მალი.

## პირველი ნაბიჯი

დეპეშამ გვამცნო, რომ რუსეთის დროებითი მთავრობამ აღიარებია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა. ამ საკითხის სხვა-ფრივ გარდაწყვეტას არც მოველოდებოდით, ვინაიდგან გასაოცარი და სამწუხარო იქნებოდა, რომ რევოლიუციონურ მთავრობას, რომლის უპირველეს დანიშნულებას შეადგენს თვითმპყრობელობის მიერ ჩადენილ მძიმე დანაშაულობათა აღმოფხვრა, არ ეღიარებინა უძველეს საკათალიკო ეკლესიის კანონიური აღდგენა!

არსებითად, რომ შევეხოთ ამ საგანს, უნდა განვაცხადოთ, რომ საკითხი დროებითი მთავრობის მიერ საქართველოს ეკლესიის შეწყნარების თუ შეუწყნარებლობის შესახებ გაუგებრობას გამოუწვევია: სრულიად საქართველოს საკათალიკოსო-საპატრიარქო დამოუკიდებელი ეკლესია არსებობდა მაშინაც-კი, როდესაც რუსები ველურ ცხოვრებას ეწეოდნენ და კერპ-თაყვანისმცემლები იყვნენ. საქართველოს ეკლესია სრულ და უზენაეს უფლებით იყო აღჭურვილი კომპეტენტურ ორგანოთა მიერ—აღმოსავლეთის პატრიარქებისაგან, და ამ უფლებას განუსაზღვრელად ახორციელებდა თოთხმეტ საუკუნის განმავლობაში.

რუსეთის ტირანიულ ხელმწიფობამ უსინდისოთ დაარღვია საქართველოსთან არსებული 1783 წლის ხელშეკრულობა, ავაზაკურად გამოგვტაცა ხელიდან უდიდესი საერთაშორისო იურიდიული დოკუმენტი, ვერაგულად აჰხადა უფლება სუვერენულ საქართველოს ხალხს და ბოლოს თავისი მკრეხელი ხელი შეახო ჩვენს ეკლესიასაც— 1817 წელს გააუქმა შესანიშნავი საქრისტიანო სადარაჯო! კანონიერი საპატრიარქო კათედრა დაუქვემდებარა ეკლესიის კანონების მიხედვით საეჭვო დაწესებულებას—უმართებულეს სინოდს, ხოლო მის ნების გასამტკიცებლად ნიშნავდა რუს ექსარხოსებს, რომელთაც, ყოვლად-სამღვდელო ლეონიდეს დახასიათებით,—საქართველოს ეკლესია გაფცქვნეს.

დიდმა რევოლუციამ დაამხო რუსეთის თვითმპყრობელობა, მიწასთან გაასწორა ძალმომრეობაზე აგებული სისტემა და შეძლება მოგვანიჭა ამიერიდგან თავისუფალ ცხოვრებისა!

მიუტევებელი დანაშაულობა იქნებოდა, რომ საერთო აღორძინების ჟამს საქართველოს ეკლესია ისევ ექსარხოსისა და სასინოდო კონტორის მონად დარჩენილიყო! ლოგიკურად შეუწყნარებელი იქნებოდა ამგვარი მდგომარეობა, მას ვერ შეურიგდებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსება და აკი კიდევაც მან, უწინარეს ყოვლისა, თვისი ეკლესია იხსნა ასი წლის „ბაბილონის" ტყვეობისაგან.

დროებითის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული აქტი ჩვენ უნდა მივიღოთ როგორც ერთგვარი დეკლარაცია, რომელიც ამტკიცებს ხალხის შეუდრეკელ ნებისყოფას. როგორც დაკმაყოფილება ქართველი ერის მოთხოვნილებისა და გამოხმაურება ივერიის ეკლესიის მწუხარე ამოძახილისა, იგი ყურადსაღებია ჩვენთვის, მით უმეტეს, რომ იგივე დროებითი მთავრობა აცხადებს, რომ თვით საეკლესიო კომიტეტმა კათალიკოსის მოსაყდრის თავმჯდომარეობით უნდა გამოარკვიოს იურიდიულ-უფლებრივი მდგომარეობა დამოუკიდებელ ეკლესიისაო. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგება სტატუტის შემუშავებას და მას აცნობს რუსეთის მთავრობას. აგრეთვე დარწმუნებულნი ვართ, რომ ხსენებული კომიტეტი განახორციელებს პატრიარქის უფლების პრაქტიკულად დამკვიდრებას. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ მთავრობის დეკლარაცია ამ საკითხში გაუგებრობასა ჰბადებს, როდესაც მოგვითხრობს საქართველოს საკათალიკოსო საზღვრებში უცხო სამწყსოთა უფლებაზე. სრულიად საქართველოს საკათოლიკო და სამოციქულო ეკლესიის პატრიარქი არის ერთად-ერთი საეკლესიო გამგე, რომელსაც ვალდებულნი არიან დაექვემდებარონენ მის უფლების საზღვრებში ყველა სხვა მართლმადიდებელი სარწმუნოებრივი დაწესებულებანი. ეს დებულება ცხადზე უცხადესია და მისი მიუღებლობა ავტოკეფალობის უარყოფის ნიშანი იქნებოდა.

რ. ინგილო.

## რევოლიუციის დღიური

რუსეთის დიდმა რევოლუციამ ოდნავაც კი ვერ გარდაქმნა განაპირა ქვეყნებში და უფრო კი ჩვენში მყოფ რუსთა ინტელიგენციის აზროვნება. როგორც ნიკოლოზის მეფობის დროს, ისე აი ახლაც, თავისუფლების ხანაში, მათი ლოგიკა მსჯელობისა საშინლად ცალმხრივია ერისადმი. ჰონორი ბატონ-პატრონისა ოდნავაც არ შედრეკილა, პსიხოლოგია პრივილეგიურ მოხელისა ისევე მძლავრია და შეურაცხმყოფელი ყველასათვის, ვინც გულწრფელად ეწაფება რევოლიუციის მთავარ დემოკრატიულ დებულებებს. საკმაოა კერძოთ ან საზოგადოებაში თავისუფლად გაამხილოთ თქვენი ეროვნული გულისზრახვა, გამოსთქვათ სურვილი ეროვნულ თვითგამორკვევისა, რომ მოლაპარაკეს ფერი ეცვალოს, თვალები სიბოროტით გაევსოს და მისმა რეაქციონურმა სულისკვეთებამ თავისუფლად თქვენს წინაშე ფრთები გაშალოს.

რევოლიუცია ადგილობრივ რუსის ინტელიგენციის უმრავლესობას თავისებურად ესმის. გეთანხმებათ, რომ მოხდა ცვლილება. ძველი წესწყობილება დაემხო, მხოლოდ ახალს, თავისუფალს მართველობას, იგინი მარტო და მარტო თავიანთ მდგომარეობის განმტკიცებისათვის იგულისხმებენ. პირადად ქართველებს, მას შემდეგ, რაც ტერიტორიალური ავტონომია წამოაყენეს უპირველეს საკითხად, სრულებით გვერდი აუხვიეს და მათს მოქმედებაში განზრახ სეპარატიზმს ჰხედავენ. ვერას გზით ვერ შევაგუებიათ გითომ და რევოლიუციისთვის თავდადებულ ადგილობრივ რუსის ინტელიგენციას სრულებით ელემენტარული ცნება, რომ ყოველივე ერი თავისუფალი უნდა იყოს თავისუფალ რუსეთში. ამ მოვლენის დასახასიათებლად ჩვენ მოვიყვანთ შემდეგ ფაქტს. რამდენისამე დღის წინეთ სახაზინო თეატრში შესდგა ხელოვანთა კრება. თეატრში აუარებელმა რუსის ინტელიგენციამ მოიყარა თავი. როგორც ხელოვანთა წარმომადგენელთა, მათი თავისუფალი გულახდილი სიტყვა, უეჭველია, მაჩვენებელი იქნებოდა იმისა, თუ რა გვარი დამოკიდებულება სურს იქონიოს, თუ გინდ ხელოვნების დარგში, რუსის საზოგადოებამ ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთან. უმთავრესად კრების საგანს შეადგენდა სახაზინო თეატრის ბედ-იღბალი. საჭირო იყო გამორკვეულიყო, თუ ვის ხელში უნდა გადასულიყო თბილისში არსებული ერთი საუკეთესო შენობათაგანი ხელოვნებისა. ბევრმა ილაპარაკა. თითქმის ყველა რუსებმა. და აი სწორედ მაშინ გამოირკვა, თუ რას ჰფიქრობს ან და რანაირად უყურებს ჩვენს განაპირა ქვეყანას. არც ერთმა მათგანმა ხმა არ ამოიღო, კრინტიც კი არ დაძრა იმაზე, რომ სახაზინო თეატრი უპირველესად ადგილობრივ ერების საკუთრებას შეადგენს, რომ უკანასკნელთ აუცილებლივ უნდა თანასწორი საპატიო ადგილი მიეცეს თეატრში, რომ თავიანთის საჭიროებისთვის გამოიყენონ. ლაპარაკობდნენ და მსჯელობდნენ მხოლოთ როგორც პირადათ რუსების საკუთრებაზე. ეროვნებათა თანასწორობაზე ლაპარაკი იქ მყოფთ ფიქრადაც არ მოსვლიათ.

მართალია, ბოლოს კრებამ რეზოლიუციაში მაინც გაატარა ეროვნებათა თანასწორი წარმომადგენლობა იმ კომისარებში, რომელსაც უნდა დაევალოს თეატრის მართვა-გამგეობა, მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ ერთი ქართველის და არა თვით რუსთა ხელოვანთა მოთხოვნით. ჩვენ სწორედ ეს მხარე გვაინტერესებდა. საჭიროა თავისუფალ რუსეთის დიდებისათვის, ადგილობრივმა რუსის ინტელიგენციამ შეიგნოს რევოლიუციის მნიშვნელობა, შეურიგდეს წამოყენებულ ნაციონალურ პრინციპებს და ყველა ერებს შეჰხედოს ისე, როგორც თანასწორ ძმებს და მოქალაქეებს. დროა დაიმსხვრას და სამუდამოთ გაუქმდეს ძველი ფსიხოლოგია ძველი მოხელისა! ბძანებლობითმა სულმა ალაგი უნდა დაუთმოს ძმურ ნუგეშს და სიყვარულს. სხვათა უფლებების გაზიარება და პატივისცემა მხოლოდ თავის თავის ამაღლებაა. ჩვენ გვწამს, რომ ადგილობრივი რუსის ინტელიგენცია შეურიგდება ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას ეროვნულ თავისუფლების აღდგენის შესახებ და ჩვენთან ერთად მის განმტკიცებასაც შეუდგება.

ჯუანშერ.

## რევოლიუციის დეპეშები

28 მარტი

### სასამართლოს რეფორმები

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) სასამართლოს წესდებების ასაღდგენად და ახალ წყობილებასთან შესათანხმებლად სამართლის სამინისტროში დაარსდეს კომი-

სია. სამართლის მინისტრი ამ კომისიის თავმჯდომარედ იყოს და მანვე დანიშნოს თავისი მოადგილე და კომისიის წევრები. 2) სენატის უმაღლეს სადისციპლინარო დაწესებულების მაგივრად, რომელიც სასამართლო წესდების 119 კვარტა მუხლის ძალით მოქმედობს, დაარსდეს ახალი დაწესებულება. ამ დაწესებულების თავმჯდომარეს დროებითი მთავრობა დანიშნავს სენატორთაგან. მის წევრებად იქნება: ა) ხუთი პირი დანიშნული იქნება მთავრობის მიერ. ეს პირნი დანიშნულნი იქნებიან სენატის სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკასაციო I, II და სასამართლოს დეპარტამენტის წევრები. ბ) ექვსი პირი, სენატორები და თავმჯდომარენი, ან საერთო და მომრიგებელი მოსამართლენი, ან ნაფიცი ვექილები, რომლებიც 6 წელიწადზე ნაკლებ ამ წოდებაში არ ყოფილან.

## დროებით მთავრობის მოწოდება

**პეტროგრადი.** ოფიციალი. მოქალაქენო! დროებითმა მთავრობამ განიხილა რუსეთის სამხედრო მდგომარეობა, გადასწყვიტა, თავის მოვალეობის აღსასრულებლად ხალხს სრული სიმართლე უთხრას. აწ ჩამოგდებულმა მთავრობამ რუსეთის საქმე ცუდ და აწეწილ მდგომარეობაში ჩასტოვა. თავის უმოქმედობით და უცოდინარობით, მან მთლად დასცა ჩვენი ფინანსები,სასურსათო და ჯარის კვების საქმე. ძველმა მთავრობამ ჩვენი მეურნეობაც დააქვეითა. დროებითი მთავრობა ხალხის ერთგულ დახმარებით, სრულის ძალით ეცდება ძველი რეჟიმის მიერ გაფუჭებული საქმე გამოასწოროს. მაგრამ დრო არ იცდის! ჩვენი სამშობლოს მრავალ შვილთა სისხლი აგერ ორ-წელიწად ნახევარია ძლიერ მტრისაგან იღვრება, მაგრამ ჩვენი ქვეყანა ძლიერ მტრის ხელს მაინც განიცდის. მტერმა ჩვენი სახელმწიფოს მრავალი გუბერნიები ჩაიგდო ხელში და ეხლაც საბოლოო შემოტევას გვიმზადებს. აუცილებელი დაცვა ჩვენის საკუთარის სახალხო სიმდიდრისა და ქვეყნის განთავისუფლება შემოჭრილ მტრისაგან—აი პირველი, არსებითი და საცილოცხლო მიზანი ჩვენის ჯარისა, რომელიც ჩვენს თავისუფლებას იცავს და რომელიც ხალხს ანდობს, მოკავშირეებთან ერთად გადასწყვიტოს მსოფლიო ომის ყველა საკითხები და მისი გათავება. დროებითი მთავრობა თავის მოვალეობადა სთვლის ეხლავე განაცხადოს, რომ თავისუფალ რუსეთის მიზანია,არა ბატონობა რუსეთისა სხვა ხალხზე, არა სხვა ერთა მიწების დაპყრობა, არამედ საფუძვლიან მშვიდობიანობის ჩამოგდებაა. ეს მშვიდობიანობა ხალხთა თვითმართველობაზე უნდა იყოს დამყარებული. რუსეთის ხალხს არა ჰსურს სხვის ხარჯით თავის ძალის გამრავლება. მისი მიზანი არ არის ვისიმე დათრგუნვა, არც დამამცირება. უმაღლეს სამართლიანობის სახელით რუსეთის ხალხმა პოლონეთს ბორკილი აჰყარა. მაგრამ რუსის ხალხი იქამდის არ მივა, რომ მისი სამშობლო ამ ბრძოლაში დამარცხებული და დავრდომილი გახდეს. ეს აზრები საფუძვლად დაედება დროებითი მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომელიც ხალხის ნების გამომსახველი და მის უფლებათა დამცველი იქნება. თავისუფალ რუსეთის დროებით მთავრობა გრძნობს რა, თუ რა მოვალეობა გვაქვს ჩვენის მოკავშირეების წინაშე, ხალხს სიმართლეს ვერ დაუმალავს. სახელმწიფო განსაცდელშია! საჭიროა ყველა ღონის ღონება მის დასახსნელად! და დღეს ამის პასუხად ხალხმა გიპასუხოს არა დავრდომით და გულის გატეხით, არამედ ერთსულოვანი აღფრთოვანებით. დროებით მთავრობა, რომელმაც ხალხის სამსახურის ფიცი დასდო, სწამს, რომ თუ ხალხი მას მხარს დაუჭერს ქვეყნის წინაშე თავის მოვალეობას შეასრულებს.

ხელი უწერია: მინისტრ-პრეზიდენტი თავადი ლვოვი. 27 მარტი, 1917 წ.

## მასწავლებლების ჯამაგირი

**პეტროგრადი.** განათლების მინისტრმა მთავრობას წარუდგინა პროექტი, რომლის ძალითაც სოფლის მასწავლებლებს ჯამაგირი 360 მანეთიდან უნდა გაუდიდდეს. მთავრობამ ეს პროექტი დაადასტურა.

## ეკატერინე II ძეგლი

**როსტოვი.** ნახიჩევანში ხალხის ბრბომ ეკატერინე II ძეგლი მოჰგლიჯა და თან ჰყვიროდა: მაგისი ყურმილები გაგვიქვეთო.

## „თავისუფლების სესხი"

**პეტროგრადი.** დროებითმა მთავრობამ მოიწონა ფინანსთა მინისტრის წინადადება „თავისუფლების სესხის" გამოცემისა. სესხი 3 მილიარდ მანეთისა იქნება. ამის ნახევრის განაღდება კერძო ბანკებმა იკისრეს. ფინანსთა მინისტრს ნება მიეცა კერძო ბანკებს საჭირო პირობებით შეეკრას.

## ნიკოლოზ რომანოვს უჩივიან

**ხარკოვი.** ნაფიცმა ვექილმა გრომოვმა ნახელმწიფარს ნიკოლოოზ რომანოვს პეტროგრადის საოლქო სასამართლოში 50,000 მანეთს უჩივის. გრომოვი ამბობს: 1905 წელს რკინის გზის იურისტ-კონსული ვიყავ და კერძო პრაქტიკაცა მქონდაო. ამავე დროს რკინის გზის მოსამსახურეთა კომიტეტის თავმჯდომარედ ვიყავ, ამის გულისთვის სამსახურიდან დამითხოვეს და 6 წლით ტობოლსკის გუბერნიაში გადამასახლესო. გრომოვი ასე სჯის, რომ რომანოვმა დაარღვია პირობა, რომელიც მან ხალხს მისცა 17 ოქტომბრის მანიფესტით. გრომოვი კი ამ მანიფესტის ძალით მოქმედობდა. გრომოვი დროებით მთავრობასა სთხოვს, ნება მომეცით გავიგო, საზღვარ-გარეთის რომელ ბანკებში აქვს რომანოვს ფული შენახულიო.

## დამცველ პოლიციის ქაღალდები

**როსტოვი.** დაიჭირეს 20 ყუთი, რომლებშიაც დერბენდის დამცველ პოლიციის ქაღალდები აღმოჩნდა.

# ეროვნული საკითხი

## ლატიშები

**რიგა.** სათათბიროს ლატიშელი წევრები 6 და 7 აპრილს იურიევში კონგრესს მოიწვევენ. კონგრესის საგანია გერმანელების მიერ დაპყრობილ კურლიანდიის ნაწილების მართვა-გამგეობის პროექტის შემუშავება. კონგრესში მონაწილეობის მისაღებად არჩეულნი იქნებიან კურლიანდიის საზოგადოებათა, ორგანიზაციების, სოფლების და ლტოლვილების წარმომადგენელნი. არჩევნებში ქალებიც მიიღებენ მონაწილეობას.

## სახალხო სოციალისტების რეზოლუცია

**მოსკოვი.** სახალხო სოციალისტების კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც ის აზრია გამოთქმული, რომ რუსეთში მცხოვრებმა ერებმა, ყველამ ავტონომია უნდა მიიღონ. ერთა უფლებანი მხოლოდ ფედერაციის საშუალებით იქნება საუკეთესოდ დაცული.

## ბელორუსები

**მინსკი.** ბელორუსთა ეროვნულმა კრებამ, რომელიც 25 მარტს იყო მოწვეული, თავის აღმასრულებელი ფუნქციები ბელორუსთა ეროვნულ კომიტეტს გადასცა. ამ კომიტეტმა დროებით მთავრობასთან შეთანხმებით ბელორუსიის მმართველობა უნდა მოაწყოს.

# ომის დეპეშები

### მთავარ ბანაკის ცნობა.

29 მარტი.

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. სროლა, ზვერვა და მფრინავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის ასპარეზზე** სროლა და ზვერვაა.

**კავკასიის ასპარეზი.** ფენჯაინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ს. ნირვანის მიდამოებში, ვანის სამხრეთ-დასავლეთით 20 ვერსზე, ოსმალები იფრინა და ფეხდაფეხ მისდევს. სანიკინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ყიზილრაბათი აიღო, ხანიკინის სამხრეთ-დასავლეთით.

## საფრანგეთი

**პარიზი.** სალამოს ოფ. ცნობა. მოპირდაპირე ზარბაზნებს უშენდა რეიმსს. რამდენიმე მოქალაქე მოჰკლეს.

# ქურნალ-გაზეთებიდან

## შეერთებული შტატები

### მცხოვრებთა რიცხვი.

შეერთებულმა შტატებმა უკვე ომი გამოუცხადეს გერმანიას. ამის გამო „რუს. სლ."-ს მეთაურ წერილში საგულისხმო ცნობებია მოყვანილი: ინგლისისა, ჩინეთისა და რუსეთის შემდეგ შეერთებული შტატები ყველა სხვა სახელმწიფოებზე უფრო მრავალრიცხოვანია. კუბასა, ფილიპეს კუნძულების გარდა შეერთებულ შტატების მცხოვრებთა რიცხვი 104 მილიონ სულს უდრის და საჭიროების მიხედვით მრავალმილიონიან ჯარის გამოყვანა შეუძლიან.

### შტატების სიმდიდრე.

შეერთებული შტატები ყველაზე მდიდარი ქვეყანაა.

რუსეთის ეროვნული სიმდიდრე 120 მილიარდს მანეთს უდრის, შეერთებულ შტატებისა კი 180 მილიარდს. ომის ხ. ნაში შეერთებულ შტატების სიმდიდრემ 400 მილიარდს მიაღწია.

თითო ამერიკელის სიმდიდრე საშუალოდ 4500 მანეთს უდრის, მაშინ როდესაც რუსეთის თითო მოსახლეზე 700 მან. მოდის.

### სახელმწიფოთა ვალი.

შეერთებული შტატები ყველა სახელმწიფოებზე ნაკლებ დავალიანებულია. საფრანგეთის, გერმანიისა, რუსეთისა და ინგლისის ვალი 40—55 მილიარდს უდრის თითოზე, შეერთებულ შტატების ვალი კი მხოლოდ 2 ნახ. მილიარდი მანეთია.

ეხლა შეერთებულ შტატებს ყველა სახელმწიფოებზე მეტი ოქრო აქვს.

### ლითონის ხიუზვა

შეერთებულ შტატებში ყველა ქვეყნებზე უფრო მეტი მუშავდება ქვანახშირი, კოკსი, თუჯი, ფოლადი, ტყვია, ცინკი, სპილენძი, ნავთი, ბამბა და სხვა.

### მრეწველობა

შეერთებულ შტატების მრეწველობა ყველა სახელმწიფოთა მრეწველობას აჭარბებს. მხოლოდ ფორდის ფირმა წელიწადში 1800 ავტომობილს ამზადებს. ფოლადის მრეწველთა ტრესტის თანხა სამ ნახევარ მილიარდ მანეთს უდრის. ეს ქარხნები ამზადებენ თოფებს, ზარბაზნებს, ყუმბარებს, წყალქვეშა ნავებს და სხვ.

## რა მნიშვნელობა აქვს შტატების ჩარევას ომში

„რ. ს."-ს სამხედრო მიმომხილველი შეერთებულ შტატების ომში ჩარევის მნიშვნელობას ეხება და ამბობს: „შეერთებულ შტატებს დიდი ხმელეთის ჯარი არა ჰყავს და არც უნდა მოველოდეთ მსოფლიო ბრძოლის ველზე მისი ჯარის გამოსვლას. უმთავრესი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ შტატები გამოდიან სამართლიანობის მოსარჩლედ. მეორე მხრით, ამიერიდან ჩვენი მოპირდაპირენი ამერიკიდან ვეღარ მიიღებენ ვერც პურს, ვერც ლითონს, ვერც სხვა ნედლ მასალას, რაც ასე სჭირდება ყოველმხრივ გარშემორტყმულ გერმანიას. ასე რომ ამერიკის გამოსვლას იმდენად მებრძოლი ხასიათი და მნიშვნელობა არ ექნება, რამდენადაც ეკონომიური.

ამერიკას არც სამხედრო ფლოტი ჰყავს ისეთი ძლიერი, რომ მან გაშლილ ზღვაში გაილაშქროს მტრის წინააღმდეგ. იგი მხოლოდ თავის სანაპიროთა დარაჯობას თუ მოახერხებს.

სამაგიეროდ შტატებს ომის დაწყებამდეც საკმაოდ დიდი სავაჭრო ფლოტი ჰყავდა. ომის მერე ამერიკაში მეომარ სახელმწიფოთა შეკვეთილ საქონლის გადასაზიდად ბევრი საოკეანო გემები ააგეს".

# ახალი ამბავი

◆ **ბოროტი განზრახვანი.** გუშინდელს ჩვენს გაზეთში აღნიშნული იყო, რომ თბილისის პოლიციის მოხელეებად ნამყოფნი პირნი დაატუსაღესო. როგორც აცხადებენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი, მათი (პოლიციელთა) დატუსაღების უმთავრესი მიზეზი ისა ყოფილა, რომ იმათ, გადაყენებულ ჟანდარმებთან ერთად, განუზრახავთ და სისრულეში მოყვანაც დაუწყიათ სურსათ-სანოვაგის მაღაზიებისა და საწყობების დარბევა და საქონლის დატაცება. ბოროტი სულნი მარტო მაღაზიებით არ კმაყოფილდებოდნენ და სოფლიდან ჩამოსულ გლეხებსაც სოფლის ნაწარმოებს ან საცსებით სტაცებდნენ და ან სულ მცირე ფასებში. ზემოაღნიშნულნი კომიტეტები მოუწოდებენ მცხოვრებთ, არ გაბრიყვდნენ და არ აჰყვნენ ასეთ პროვოკატორებს, რომელთა ქვენა განზრახვანი ის არის, რომ როგორმე ხელი შეუშალონ ახალ ცხოვრების განმტკიცებას.

◆ **თბილისის სახინოდო კანტორაში.** შესდგა აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც უნდა განაგოს კანტორის საქმეები. კომიტეტში შედიან: სერგო წერეთელი, დავით ნახუცრიშვილი, ლიდია ლექავა, ზაქარია ხატიაშვილი და ალექსანდრე ძაბუაშვილი.

◆ **თბილისის სახინოდო კანტორას** სინოდისგან მოუვიდა სანიმუშო ფორმები პროტოკოლებისა და „უქაზებისა", რომლებშიაც ამოშლილია სიტყვები „ბრძანებითა მისის უდიდებულესობისა ხელმწიფე იმპერატორისა". კანტორას წინადადება ეძლევა ამ ფორმით წეროს საჭირო ქაღალდები.

◆ **მასწავლებელთა დელეგატების კრება.** 7 აპრილს თბილისში შესდგება თბილისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის ფილიალურ განყოფილებების დელეგატთა ყრილობა.

◆ **მასწავლებელთა კრება.** დღეს, 30 მარტს, ახალი კლუბის დარბაზში დილის 11 საათზე დანიშნულია ადგილობრივი პირველდაწყებით ყველა ტიპისა და უწყების სკოლების მასწავლებელთა საზოგადო კრება. განსახილველი საგანია: თბილისის მასწავლებელთა კავშირის ფილიალ განყოფილების გამგეობის წევრთა და 10 დელეგატის არჩევა.

◆ **ხარფუხის კლუბის მოსამსახურეებმა** შეაგროვეს თავიანთ შორის 96 მან. 12 კაპ. და გადასცეს მისის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

◆ **კარლო ჩხეიძის ვაჟი,** რომელმაც უცაბედად თავი მოიკლა, 29 მარტს გამოასვენეს პეტროგრადიდან. მიცვალებულს თან ახლავს ისიდორე რამიშვილი ცხედარს ბათომში დაკრძალავენ.

◆ **რედაქციისაგან:** ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში შეცდომით დაიბეჭდა წერილი „სარევოლუციო ფურცელი" ანარქისტ კომუნისტებისა. ამ წერილის დაბეჭდვა რედაქციას აზრად არა ჰქონია.

◆ **ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის** მიერ გადასწყვიტა, რომ „ოხრანკა"-ს ყველა საქმეები სასახლეში გადაიტანონ და მათ შესასწავლად საგანგებო კომისია აირჩიოს.

◆ **ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ 2,925 მანეთი მიიღო გადმოხვეწილთა საქმეების მთავარ ხელმძღვანელისაგან. ამ ფულებით უნდა დაიფაროს წარსულ იანვარს და თებერვლის პირველ ნახევარში გაწეული ხარჯები თავშესაფარებში დაბინავებულ 130 ბავშვის შესანახად.

◆ **თბილისის გუბერნიის სასურსათო საბჭოს კომისარები** მოუწოდებენ მცხოვრებთ დაეხმარონ მათ სიძვირესთან ბრძოლაში და ნიხრის სისწორით წარმოებაში. საზოგადოების წევრი, რომელიც ზედმეტ ფასად იყიდის პირველ საჭირო ნივთებს, ის ცხოვრების გაძვირებას ხელს უწყობს. ნუ გეშინიათო, აცხადებენ კომისარები, ფასს ნუ გაადიდებთ, სანოვაგე არ დაგაკლდებათო. დაწესებული ნიხრი ბაზრის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს და ვაჭრებს შეუძლიათ და ვალდებულიც არიან ის შეასრულონ, თუ ვინმემ შეამჩნია ამ ნიხრის დარღვევა, ვთხოვთ ამის შესახებ აცნობოს ქალაქის საბჭოს აგენტს ანუ მილიციონერს.

◆ **ნაეპისკოპოსარი პლატონი** მარტის 27 წარუდგა დროებითის მთავრობის ამიერ-კავკასიის კომიტეტს. ამ დღეებში პლატონი რუსეთში მიემგზავრება.

◆ **თბილისის ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონების** კომისარად ამიერ კავკასიის კომიტეტმა დანიშნა ექ. ი. დ. მამულია.

◆ **სეკრეტარიატი** ამიერ-კავკასიის კომიტეტისა უკვე შესდგა. სეკრეტარიატის კანცელარიის გამგედ დანიშნულია გ. ს. სარქისოვი, კომიტეტის თავმჯდომარის ბ-ნ ხარლამოვის მდივნად ვ. ვ. პრიაზინი, კიტა აბაშიძისა გ. თ. ჟორდანია, აკაკი ჩხენკელისა გ. ა. ფილავა, ჯაფაროვისა—მეხლი-ბეგი გაჯინსკი, პაპაჯანოვისა გ. ხ. ბაგატუროვი. გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ცნობა, ვითომც აკაკი ჩხენკელს თავის მდივნად ექ. მამულია მიეწვიოს, მართალი არ გამოდგა.

◆ **დიდს ხუთშაბათს** საღმრთო ლიტურღიას და ფერხთბანას, ამავე დღის სალამოს ციხკარს დადებული ათ-ორმეტი სახარების წაკითხვით და დიდს პარასკევს წესს წმ. გარდამოხსნის გამოსვენებისას ყოვლადუსამღვდელოესი ლეონიდე, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოისა, მცხეთის მთავარ ეპისკოპოსისა და სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე, შეასრულებს სიონის საკათედრო ტაძარში. დასაწყისი წირვისა დილის $9^1/_2$ ს. ციხკრისა—სალამოს 6 ს. ხოლო პარასკევს მწუხრისა—შუადღის 2 საათზე.

◆ **საქართველოს შრომის კავშირი.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს, 30 მარტს, სალამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში, დანიშნულია „საქართველოს შრომის კავშირის" დამფუძნებელი კრება, რომელსაც შეუძლია დაესწროს ყველა, ვისაც სურს კავშირის ორგანიზაციაში მონაწილეობა მიიღოს.

◆ **ამიერ-კავკასიის სამეურნეო სასწავლებელში** უკანასკნელი ეგზამენები გათავდა 27 მარტს. სწავლა დაამთავრა 24 მოწაფემ. მათში 11 ქართველია: გამსახურდია ივანე, გოგობერიშვილი ვიქტორ, ველურიშვილი შალვა, ჯავრიშვილი ერეკლე, კოლოტაძე ვასილ, კაციტაძე კონსტანტინე, კიკვაძე ილარიონ, ქორიძე ალექსანდრე, ჩუბინიძე იროდი, ციხისთვიშვილი ალექსანდრე და შოვნაძე სევერიანე.

**ზესტაფონი.**

22 მარტს მომხდარ ეროვნულ დემოკრატიულ კრებაზე გადაწყდა გაეგზავნოს დეპეშა როძიანკოს, ასლი მინისტრთა თავმჯდომარეს ლვოვს, იუსტიციის მინისტრს კერენსკის და კომისარიატის წევრს კიტა აბაშიძეს.

„22 მარტს ეროვნულ-დემოკრატების მრავალ რიცხოვან კრებაზე ზესტაფონში დადგენილ იქმნა: სალამი დიდებულ ახალს დროებითს მთავრობას, რომელმაც დაამსხვრია ბიუროკრატია და მიანიჭა თავისუფლება დიდის რუსეთის მშრომელთ და მის განაპირა კუთხეების ერებს. გვწამს, რომ საქართველო თავისუფალ რუსეთში აყვავდება, აღდგენილ იქმნება ყოველივე მისი ავტონომიური უფლებები 1783 წლის ტრაქტატის საფუძველი".

**ხიდნაღი.**

ბოდბის მონასტრის იგუმენიამ თავხედურ მოქმედებას უმატა, თითქო მის გარშემო არაფერი მომხდარიყოს ქართველობის დევნა, დაწიოკება, ენის შელახვა, მოსწავლე ბავშვების „ნერიოშკებად" დანათვლა გართულდა და გაძნელდა. მოზარდ ბავშვებში ნაციონალურ გრძნობას ლახვენ და ყოველ დღე ჩხუბისა და აურზაურის მეტი არაფერი ისმის. ქართველებმა უდალატეს ჩვენს მეფესაო, ბრძანებს იგუმენია. თურმე ნებას არ აძლევს სამღვდელოებას მოიხსენიონ ახალი მთავრობა. ეკლესიაში ისმის ქება და დიდება ისევ ნიკოლოზებისა და პლატონებისა. მასწავლებლებს ხომ კრებებზედ უკრძალავს სიარულს—ჩემი ნებაა და ნებას არ გაძლევთო. ნეტავი როდის მოგვაშორებენ და განსწმედენ წმ. ნინოს სავანეს ამ არა სანუკარს ულირსოებისაგან?!

# საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია

(პეტ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** 27 მარტი. დროებითი მთავრობა არ შეეხო ეკონომიურ მხარეს საქართველოს აღდგენილ მართლმადიდებელ ეკლესიის ავტოკეფალიისას, რომელიც განამტკიცა ივერიის ეკლესიის კრებამ მიმდინარე წლის 12 მარტს, და რომლის სათავეშიაც უნდა იდგეს მცხეთის კათალიკოსი.

დროებითი მთავრობა აუცილებელ საჭიროებად სთვლის აღიაროს ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებული უფლებრივი შედეგები. ამისათვის დროებითი მთავრობა აღიარებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის ქართულ-ეროვნულ ხასიათს და მის მოქმედებას ტერიტორიით არა საზღვრავს.

მართლმადიდებელ რუსების და სხვა არა ქართველთა ეკლესიების მართვა-გამგეობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის ხელში დარჩება.

დროებითი მთავრობა უფლებას აძლევს საქართველოს ეკლესიას, მოკლე ხანში გამოარკვიოს თავისი უფლებრივი მდგომარეობა რუსეთის სახელმწიფოში, რაც დროებითს მთავრობას დასადასტურებლად წარედგინება.

ვიდრე დროებითი მთავრობა საქართველოს ეკლესიის უფლებრივ დებულებათ დაამტკიცებდეს, საქართველოს საეგზარხოსოში არჩეული დაწესებულებანი წინანდელის წესით იარსებებენ.

რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობის საბოლოოდ დადგენა და განმტკიცება დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის.

დროებითი მთავრობა ღრმეს რწმენას გამოსთქვამს, რომ დიადი აქტი საქართველოს ეკლესიის თვითგამორკვევისა მოხდება ეკლესიურ მშვიდობიანობისა და სიყვარულის დაცვარად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის მიმართ.

# საქართველოს საკათალიკოსო

### მისალოცი დეპეშები

**თბილისი.** თბილისის ყველა სასწავლებელთა ქართველ მასწავლებლების მრავალრიცხოვანმა კრებამ დაადგინა მხურვალედ მიესალმოს თქვენს უსამღვდელოესობას ივერიის ეკლესიის თავისუფლების აღდგენის გამო.

კრების თავმჯდომარე

დავ. კარიჭაშვილი

—

**ქუთაისი.** ქუთაისის სამღვდელოების აღმასრულებელი კომიტეტი გილოცავსთ ძველ ივერიის ავტოკეფალურ უფლებათა აღდგენას, გულითად სალამს გიძღვნისთ და ჰფიცავს, რომ ერთგულად და სულის უკანასკნელ ამოსვლამდე ემსახუროს ქართულ ეკლესიას და აღიარებულ თავისუფლებას. უფალმა დაგიფაროსთ და გაგამხნევოსთ თავისუფალ და დემოკრატიულ საფუძველზე დამყარებულ ეკლესიას აღდგენის ძნელ საქმეში. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს, რომელმაც ერთის შებერვით მოისპო ადამიანის წმიდა სინიდისის შემბოჭველი ძალები. გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს და მის თავისუფალ ეკლესიას.

იმერეთის სამღვდელოების

აღმასრულებელი კომიტეტი

—

ჩვენ, ქვემორე ამისა ხელის მომწერნი, თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლები, საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენის შემთხვევა პირველად ვესწრებით რა სასულიერო საბჭოს სხდომას, ვით შვილნი თავისუფალ რუსეთის ხალხისა, რომელმაც თვითმპყრობელობის ბორკილები დაამსხვრია, ქართველ ამხანაგებს და მამა რექტორს განსაკუთრებული სიხარულით მივულოცავთ ქართველ ხალხის დიდი ხნის სურვილის განხორციელებას და გულით ვუსურვებთ ქართულ ეკლესიას თავისუფალ და დამოუკიდებელ განვითარებას ქართველ საეკლესიო მეცნიერების და სარწმუნოებრივ აზროვნების ასაყვავებლად.

თ. ტიგანოვი, სერ. მალინოვი, ი. ლილინი, ი. ანტონი, კ. ნაცვალოვი, პ. ბექლემიშევი, ს. მურახოვსკი, ი. კედროვი, ა. ორინატსკი, ვ. ტიხვინსკი, სემინარიის საავადმყოფოს ფერშალი მთავარი ნ. კონოვალოვი.

# სასულიერო უწყებაში

1904—5 წლებში საქართველოში იყო ეგზარხოსად არქიეპისკოპოსი ნიკოლოზი. მაშინ ქართველმა სამღვდელოებამ დიდის მოკრძალება-მორიდებით მოითხოვა ავტოკეფალია. იმ დროს ხალხის ჯალათი თვითმპყრობელობა თავ-აშვებულად პარპაშობდა მთელს იმპერიაში და თვით რუსის ხალხსაც კი შეუბრალებლად მუსრს ავლებდა და ეგრედ წოდებულ „ინოროდცებზე" როგორი სისასტიკე უნდა გამოეჩინა, ეს ხომ ადვილი წარმოსადგენია. იმ დროის, ეგზარხოსს ნიკოლოზისთვის ქართველ სამღვდელოებიდან ბოიკოტი არავის გამოუცხადებია. მაგრამ ამ პატივცემულმა მღვდელ-მთავარმა რა ნახა, საშწყსოს არ ვუნდივარო, თვითონვე მიატოვა საეგზარხოსო, წაბრძანდა რუსეთს და იქ თვითმპყრობელს და მის დამქაშთ, სხვათა შორის, სინოდს და მის ობერ-პროკურორს პობედონოსცევს განუცხადა, მე არ შემიძლია მღვდელ-მთავრობა გავსწიო იმ სამწყსოში, რომელიც ჩემთან სულიერად დაკავშირებული არაა და ამიტომ საჭიროთ ვსთვლი საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მიენიჭოსო.

რაღა თქმა უნდა, ნიკოლოზს არავინ გაუგონა. მას მერე რეაქცია უფრო გამძვინვარდა. ავტოკეფალიის მომხრე ქართველი სამღვდელო პირნი სასტიკათ დაისაჯნენ. ზოგნი სამშობლოდან გააძევეს, ზოგიც მონასტრებში ჩაამწყვდიეს და სხვ. მაგრამ მრავალ მსხვერპლის მიუხედავათ, დაბოლოს ბოროტება ძლეულ იქმნა, ძველი წესწყობილება რაღაც სასწაულით ერთის ხელის მოქნევით განადგურდა და რუსეთის იმპერიის მრავალ-მილიონიანმა ხალხმა ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა.

ჩვენც, როგორც დიდი ისტორიულ კულტურის მქონე ერს, საშუალება მოგვეცა ადამიანურ ცხოვრებისა და ჩვენი ასი წლით შეჩერებულ ისტორიულ მსვლელობის განგრძობისა. ამისათვის, სხვათა შორის, როგორც მკითხველმაც უწყის, 12 მარტს მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში აურაცხელ ხალხის თანდასწრებით გამოცხადებულ იქმნა აქტი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა. ყოვლად სამღვდელო ლეონიდე ხალხისაგან არჩეულ იქმნა ქართველ კათალიკოს პატრიარქის მოსაყდრედ. ეს ყველაფერი ეცნობა ეგზარხოსს პლატონს და თანაც გამოეცხადა, რომ იგი გადაყენებულია ეგზარხოსობიდან. მაგრამ ეს პლატონი საოცარი ჭკუისა და ზნეობის კაცი გამოდგა. დღემდე ადგილიდან ფეხს არ იცვლის, თავის უფლებებზე ხელს არ იღებს და როგორც ღვიძლი შვილი ძველის წესწყობილებისა, ნაძალადევათ განაგრძობს უფროსობას. „მეო", ბრძანებს პლატონი,—„მთავრობამ დამაყენა და მთავრობამვე უნდა გადამაყენოს, მე თქვენი სიტყვით და ბრძანებით არ გადავდგებიო". გეგონებათ, ეს კაცი ჭკუაზე შეშლილი, თორემ ამის თქმას როგორ გაჰბედავს სრული ჭკუის კაცი?! ვითომ თვით არ უწყის ნაეგზარხოსალმა პლატონმა, რომ ის მთავრობა, რომელმაც იგი საქართველოს ეგზარხოსად დანიშნა, აღარ არსებობს და მის გაცემულ აქტებსაც მნიშვნელობა დაეკარგათ? დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, დანიშნული

მეფისგან უმაღლეს მთავარსარდლად, ახალი მთავრობისაგან გადაყენებულ იქმნა... ესეც კარგად უწყის პლატონმა, მაგრამ მაინც ჯიუტობს და ძალათი მაცხოვნებსაგან თავს არ გვანებებს. ამის მარჯვენა ხელი გახლავთ სასინოდო კანტორის პროკურორი პოპოვი, დიდი თაყვანისმცემელი ძველის წესებისა. მრავალი ბოროტმოქმედება აქვს ამ ვაჟ-ბატონს ჩადენილი კანტორაში. ეხლა მოგვეცა საშუალება გამოვამჟღავნოთ ყველა მისი ნამოქმედარი. თავის უშვერო საქციელით ეგზარხოსსაც აქეზებდა ხოლმე მაგვარ საქმეებისათვის. ყველა იმის და ეგზარხოსების სიავეს შემდეგისთვის გამოვიტანთ გაზეთის ფურცლებზე და ეხლა კი არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ შემდეგი: ძველის სემინარიის მთელი წლიური შემოსავალი ნაეგზარხოსალმა პლატონმა მიითვისა, და ეს კანტორამაც პროკურორის დახმარებით დააკანონა. ხსენებული შემოსავალი ეგზარხოსის სრულ განკარგულებაშია და არავინ უწყის, რაზე ხარჯავს ამ ფულებს. შენობა კი ქართველ სამღვდელოების საკუთრებათ ითვლება...

ქართველმა წევრებმა კანტორისამ სხდომაზე სიარული შესწყვიტეს, მაგრამ ეგზარხოსი თავისას არ იშლის სხდომებს მართავს, ყურუმსიერით თვითონ და ეპისკოპოსი დამიანე სხდიან, სწყვეტავენ თითო ოროლა საქმეს. კანონით სხდომა კანონიერად ჩაითვლება, თუ მას დაესწრებიან არა ნაკლებ სამის წევრისა. ამას მიხვდნენ პლატონი და პროკურორი და მოიწვიეს თავისი ნებით მესამე წევრად ვილაც მღვდელი ორეხოვი. კანონითვე, მინამ სინოდი არ დაამტკიცებს ვისიმე კანტორის წევრად, მას ნება არა აქვს სხდომას დაესწროს. მაგრამ ბიუროკრატებისთვის განა კანონი არსებობს?.

მეგობარი.

## ამიერ-კავ. რუსობა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა

„ზაკ. რეჩში" დაბეჭდილია თბილისის რუსებისა: ძმური სიყვარულით მივესალმებით ერთმორწმუნე ქართველ ერის მიერ მისის ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენის ამბავს და ღმერთსა ვსთხოვთ ივერიის ეკლესიის აყვავებას მისთა ძეთა საკეთილდღეოდ. რუსის სამრევლო და სამხედრო სამღვდელოებისა, სჯულის მასწავლებელთა, დაწესებულებათა, საეგზარხოსოს სასწავლებელთა, სამლოცველოებისა და ერის კაცთა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამა წლის მარტის 27-ის კრებაზე დაადგინა ეთხოვოს უწმიდესს სინოდს და გამოქვეყნდეს შემდეგი:

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის განახლებას უკვე შესრულებულ ფაქტად აღვიარებთ, ამასთან ერთად ჩვენთვის შეუძლებლად მიგვაჩნია შევიდეთ საქართველოს საკათალიკოსოში და ამიტომ უწმიდეს სინოდსა ვსთხოვთ დაარსოს ამიერ-კავკასიის საეგზარხოსო, რომელიც ხსენებულს სინოდს უნდა ემორჩილებოდეს. ამ საეგზარხოსოში უნდა შევიდნენ ყველა რუსული მრევლები, აგრეთვე მართლმადიდებელნი სხვა ეროვნებათა, თუ კი ისინი ამას მოისურვებენ.

ორივე მხარის ინტერესების გასამიჯნავად და თანხისა და ქონების სამართლიანად გასაყოფად, კომიტეტმა დაადგინა ახლავე აირჩიოს თავის შორის კომისია და დაავალოს ეს მოსამზადებელი სამუშაო.

„ზაკ. რეჩი" ამას თავის მხრივ დასძენს: შეუძლებელია ხსენებულმა დადგენილებამ არ გააოცოს ყოველი მორწმუნე მართლმადიდებელი, ვინც კი იცნობს ჩვენი ეკლესიის წესწყობილებების ძირითად დებულებას საეკლესიო კანონების თანახმად ერთსა და იმავე საეკლესიო ტერიტორიაზე ან ერთს საეკლესიო მხარეში არ შეიძლება იარსებოს ორმა ერთი მეორეზე დამოუკიდებელმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ. ასეთს დადგენილებას ადგილი არ ექნებოდა, რომ ადგილობრივ რუს სამრევლო და სამხედრო სამღვდელოების კომიტეტს სცოდნოდა დამორჩილებოდა ყველა მართლმადიდებლისათვის სავალდებულო საეკლესიო კანონებს და წმ. კრებათა დადგენილებათ.

## სასურსათო საქმე

28 მარტს, საღამოს 8 საათზე, დანიშნული იყო თბილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის კრება, რომელსაც ბევრი ღირსშესანიშნავი საკითხები ჰქონდა გადასაწყვეტი. 9 საათზე კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ელიავამ განაცხადა, რომ 46 წევრთაგან მხოლოდ 10 კაცია მოსული და ამიტომ, მიუხედავად ფრიად საჩქარო საქმეებისა, კრება უნდა გადაიდვას. გადასწყვიტეს კრება გადაედვათ 30 მარტისთვის, საღამოს 8 საათისათვის. ვ. რცხილაძემ განაცხადა, რომ 30 მარტს მე ვერ დავესწრები კრებას და ამიტომ გთხოვთ ეხლა მომისმინოთო. თავმჯდომარემ სიტყვის ნება მისცა. რცხილაძე აცხადებს: უკანასკნელ დღეებში თავი წამოჰყვეს ბნელმა ძალებმა ბაზრის დარბევას მიჰყვეს ხელი. არ ინდობენ არა მარტო კერძო პირთა მაღაზია-საწყობებს, არამედ კოოპერატივებსა და სოფლის გლეხებსაც. დამრბეველნი ანუ სულ მუქთად იტაცებენ საქონელს, ანუ თვითონვე აწესებენ ფასებს და თითო-ოროლა გროშათ მიაქვთ ძვირფასი საქონელი. ხალხი დაშინებულია და სოფლიდან აღარავინ ჩამოიტანს რასმეს, იცის ეს გარემოება სასურსათო კომიტეტმა, თუ არა, და რა ღონისძიებაა მიღებული ასეთ ძარცვა-გლეჯის წინააღმდეგ? ბ-ნ რცხილაძეს უპასუხა თავმჯდომარემ ნ. ელიავამ და შემდეგი განაცხადა: დარბევის სურვილი მართლაც იყო და მათი მომწყობნი აღმოჩენილნი არიან. სასტიკი ღონისძიებაა მიღებული, რომ ასეთი შემთხვევა აღარ განმეორდეს. რაც შეეხება სურსათ-სანოვაგეს, ამისთვისაც ზრუნავს კომიტეტი. საქონელზე ნიხრია დაწესებული და ვაჭრები ვალდებული არიან ნიხრს დაემორჩილონ. ვინც საქონელს დამალავს, კომიტეტი ჩამოართმევს და საქალაქო და საკოოპერაციო დუქნებში დაარიგებს ნიხრის კვალობაზე გასასყიდად. სოფლის ნაწარმოებისათვის იქმნება ხელსაყრელი არ იყვეს ჩვენ მიერ დაწესებული ნიხრი, მაგრამ, სამაგიეროდ, საგუბერნიო კომიტეტმა დაავალა ქალაქის სასურსათო კომიტეტს შეადგინოს მცოდნე კაცთაგან საგანგებო კომისია, რომელმაც მტკიცე ფასები უნდა დაადვას ქარხნებისა და ფაბრიკების ნაწარმოებს და ამ რიგად სოფლელებიც იაფად შეიძენენ თავიანთთვის საჭირო საქონელსო.

## ტყის ძმები

(კახეთში)

(გაგრძელება)

უნდა გამოვტყდე, რომ მე პირადათ მისმა განცხადებამ საშინლად გამაკვირვა. ახლა კი ცხად იყო, რომ მათ საუცხოვოთ ჰქონდათ აგენტურა დაყენებული.

— შეიძლება გავიგო, თქვენ რა გქვიანთ?—შევეკითხე ტყის ძმას.

— მე, გიგო ველისციხელი გახლავართ,—მიპასუხა სიცილით გიგომ.

მე მაშინვე ენაზე ვიკბინე. ჩემს გვერდით იდგა ის ახალგაზრდა, რომლის სახელი შიშის ზარსა სცემდა ველისციხეს და მის გარშემო სოფლებს. ბინდი საშუალებას არ მაძლევდა დამენახა მისი სახე, მისი გარეგნობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მშვენივრად მოსული, მხარბეჭიანი და მასთან საშინლად მარდი. მისი მოძრაობა ნათლად ამბობდა, რომ იგი შეუპოვარი მებრძოლი უნდა ყოფილიყო.

— წამობრძანდით, მე თვითონ მიგიყვანთ ამხანაგებთან,—მითხრა გიგომ,—მე ალაგი შევთავაზე ეტლში. გიგო სხარტლად ამოხტა და ყველანი გავემგზავრეთ ტყის ძმებთან.

გზაში გიგომ გადმომცა, რომ ყველანი ერთად არიან შეკრებილნი და ელიან მდგომარეობის გამორკვევას. რაც შეეხება ხალხს,—სთქვა გიგომ,—ყველა დიდათ მოხარულია ჩვენი ტყიდან გამოსვლით და გვთხოვეს კიდევაც მათთან დავრჩეთ და დავიფაროთ სოფელი უწმაწურ ქურდებისაგან.

უკვე თენდებოდა, როდესაც ჩვენ ერთს დიდ სახლთან გავჩერდით. კარებთან მთელს ჯგუფს შევხვდით გლეხკაცებისას. ყველანი სწრაფად გამოეშურნენ ჩვენსკენ და, რაკი ჩვენთან გიგო ნახეს, თავაზიანად უკან დაიხიეს. ეზოში აურაცხელ ხალხს მოეყარა თავი. ზოგი მღეროდა, ზოგი მწვადებს სწვავდა, ზოგიც იდგნენ და ფეხზე ღვინოსა სვამდნენ. მათში მე ვერსად შევნიშნე შეიარაღებული ტყის ძმა.

ცოტა არ იყოს, შევყოყმანდი. მე სრულებით არ მოველოდი ასეთ სურათს. დარწმუნებული ვიყავი ტყის ძმები სადმე მიმალულები იქნებოდნენ და მხოლოდ დიდი სიფრთხილით მოხერხდებოდა მათთან მისვლა.

ალბათ გიგომ იგრძნო ჩემი მდგომარეობა, ღიმილით მომიბრუნდა და მთხოვა მას გავყოლოდი. გავიარეთ ეზო და სახლში შევედით. ჩემ თვალწინ გადიშალა ორი უშველებელი ოთახი. ორსავე ოთახში გაშლილი სუფრა და მის გარშემო გლეხ-კაცობა და რამდენიმე შეიარაღებული ტყის ძმები.

ჩემს დანახვაზე ყველა ფეხზე წამოიშალა და გამარჯვებით მომესალმა. გიგომ ხელი მომხვია და მეორე ოთახისკენ გამიყვანა. აქაც ისევე დიდი სუფრა, რამდენიმე გლეხკაცი და დანარჩენი ტყის ძმები მოსხდომოდნენ გარშემო და ქეიფობდნენ. შესვლის უმალ შეელივით წამოიჭრა ზეზე ცნობილი ტყის ძმა ნაბია ყაფილაშვილი, გადმოხტა ტახტიდან და ხელი ჩამომართვა. ნაბიას მე 1905-6-7 წლებში ვიცნობდი. იგი ცნობილი მოწინავე მუშა იყო და ჩემთან და ჟორჟიკასთან ერთად რევოლიუციონურ სოც. დემოკრ. ორგანიზაციაში ვმუშაობდით. 1907 წლიდან ჩვენ ერთმანეთი აღარ გვენახა. 11 წლიწადი ტყეში ყოფნას თავისი გავლენა მოეხდინა. ნაბიას უკვე ჭაღარა შეჰპაროდა, სახე გასტეხოდა, თვალები მეტის-მეტად მოქანცულობას ადასტურებდა. სიმართლე უნდა ითქვას, ჩემი ნახვა მას ძალიან გაეხარდა. ბავშვივით გარს მევლებოდა და ცდილობდა რითიმე ესიამოვნებია ჩემთვის. ხანდისხან გაჩუმებული თვალებში მიყურებდა, თითქოს უნდა გაეგო, რას ჰფიქრობს მისი ერთდროის პარტიული ამხანაგი მასზე.

ერთად დავსხედით, ხელი ხელს გადავხვიეთ და დავიწყეთ ერთმანეთის მოკითხვა.

პატარა ხნის შემდეგ, მე შევეკითხე, თუ სად იმყოფებოდა ამ ჟამად ჟორჟიკა. საჭირო იყო მისი ნახვა როგორც მთავარი ბელადისა.

— ეხლავე დაუძახებენ, დღეს ის ძალიან დაიღალა და დასაძინებლად წავიდაო,—მითხრა ნაბიამ.

არ გასულა რამდენიმე წამი, რომ ოთახში შემოიჭრა შავგვრემანი, მეტად მოხდენილი, მშვენიერ თვალება, სხლარტი, პატრონტაჟში შებორჭილი ახალგაზდა ყმაწვილი—ცნობილი ჟორჟიკა.

— გამარჯობა მეგობარო,—მომაძახა ჟორჟიკამ და მოულოდნელად გულში ჩამიკრა.—როგორა ხარ, სადა ხარ, რას აკეთებ? განა ესე უნდა, რომ არც ერთხელ აღარ გვინახულე?

მე ველარაფერის თქმა მოვახერხე. ვგრძნობდი მხოლოდ, რომ ყველაფერს, რასაც იქა ვხედავდი, ჩემზე უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ყველანი სუფრას შემოუსხედით და თამადის განკარგულებაში მივეცით თავი.

რაკი ოდნავ გამოვერკვიე, ყველაფერს თვალიერება დავუწყე. მივიხედ-მოვიხედე, ავხედ-ჩავხედე იქ მყოფთ. მსურდა გამეგო და გამომეცნო, თუ რაგვარი ხალხი ახვევია ტყის ძმებს, ან და რა სულიერი განწყობილებაა მათს შორის.

ვინ არ იცის, რა გვარად არ ახასიათებდნენ გაზეთებში ტყეში გასულ ძმებს, რას არ ამბობდნენ მათზე! უკანასკნელის გადმოცემით, ტყის ძმები საშინელი ავაზაკები იყვნენ. და როგორც ასეთებს, მე მიკვირდა, რომ გლეხკაცობას მათთან ვხედავდი. მაკვირვებდა უფრო მათი განწყობილება ტყის ძმებთან. ყოვლად შეუძლებელია მხოლოდ შიშით აიხსნას ასეთი მეგობრული განწყობილება. მე ამგვარი განმარტება აღარ მაინტერესებდა და ვცდილობდი საქმის მდგომარეობის უფრო გარკვეული ნიადაგი მეპოვა.

არ ვიცი, იგრძნო ჩემი ყოყმანი და სულის ზრახვანი ნაბიამ თუ არა, როდესაც წამოდგა და, ჭიქით ხელში დამსწრეთ შემდეგის სიტყვით მიჰმართა:

ამხანაგებო! უპირველესად საჭიროა აქ მყოფნი და ახლად მოსულნი ერთმანეთს გავაცნოთ. ესენი გახლავან თბილისიდან მოსულნი; დღეს თუ იგი ჩვენთან არის, ალბათ, რაიმე საქმე აქვს ჩვენთან. ის ორი ყმაწვილი კაცი მისი მეგობრებია და მათთან ერთად ჩვენი ნახვა განუზრახავთ.—ამხანაგო!—მომმართა მე,—ამ სუფრაზე თქვენა ჰხედავთ მრავალ ხალხს, ესენი წარმომადგენლები არიან სხვა და სხვა სოფლებისა. დღეს ყველანი მოვიდნენ ჩვენთან, რომ მოგვილოცონ დიადი დღესასწაული. აგერ შილდელები (შილდელები ჩვეულებრივად მშვენიერ „მრავალ ჟამიერი"-თ უმასპინძლდებოდნენ. საუცხოვო პირველი ხმა ჰქონდა ერთს მათგანს). აი ეს ჩვენი თამადა ყვარლიდან გახლავთ. აგერ აკურელები. იქით შაშიანელები და დანარჩენ სოფლებიდან.

ნაბია თვალებში ისე შემომაცქერდა თითქოს უნდა ეთქვა ჩემთვის: „ხედავ როგორ სცდები, ვითომ ხალხი ჩვენ წინააღმდეგიაო".

უნდა გამოვტყდე, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვიგრძენ ჩემი თავი. ჯერაც ვერ ამეხსნა ასეთი სიმპატია ხალხისა ამ ტყის ძმებთან.

ჟორჟიკა ჩემს გვერდით იჯდა. ბუნებით მოუსვენარი, 11 წლიწადი ტყეში ყოფნით ნერვებ აშლილი, ყველას გაფაციცებით უმზერდა. ხან ადგებოდა და გაივლიდა, ხან დაჯდებოდა და მეკითხებოდა, თუ რას ჰფიქრობს ხალხი; როგორ ეწყობიან ქალაქში და სხვა. უკვე გათენებამ მოატანა, მაგრამ ხალხი ალაგიდან არ იძვრებოდა. მე კი განმარტოებით მინდოდა ყველასთან მოლაპარაკება და არ ვიცოდი, როგორ მომეხერხებინა. ბოლოს, ჟორჟიკას პირდაპირ მივმართე.

— ჟორჟიკ!—მე საქმე მაქვს ყველა თქვენთან, მინდა მოგელაპარაკოთ და თუ მოახერხებ, რომ ყველა შენს ამხანაგებს ცალკე გამოიხმობდე, ძალიან მადლობელი დავრჩები.

— ახლავე, ადვილ სამსახურია. ნიკო! დაუძახე მეორე ოთახში მყოფ ტყის ძმას, ყველანი მოაგროვე და აი ამ ოთახში შეიყვანე. ჩვენც ახლავე მოვალთ. ჟორჟიკამ მარჯვენა კარებისაკენ უჩვენა, სადაც, როგორც ბოლოს ვნახე, მშვენიერი კაბინეტი აღმოჩნდა.

ალექსანდრე ახმეტელი.

(შემდეგი იქნება)

## უპირველესი საქმე სოფლად

უპირველესი საქმე სოფლათ—მუშა კაცის მიწით უზრუნველ ყოფა არის.

არსად არ არის ერი ისე შევიწროვებული უმიწობით, როგორც საქართველოში, როგორც საქრისტიანოში, ისე სამაჰმადიანოში.

აჭარა, შავშეთი, ლიგანა, ქობულეთი, ახალციხის მაზრა, ნაწილი ახალქალაქისა და ბორჩალოსი, ლეჩხუმი, რაჭა, სამეგრელო (გლეხობა), ზემო იმერეთი, სვანეთი, ქართლისა და კახეთის გლეხობა, დუშეთისა და თიანეთის მაზრა სულს ლაფავენ უმიწობით.

ერთი ხაკალოვო მიწა რაჭაში ხშირათ გაყიდულა ათას მანეთათ.

ქიზიყში ქიზიყელების სამყოფი მიწა არის, მარა ისე ცუდათ მოწყობილია მიწის მფლობელობის საქმე, რომ თუ ერთი ორმოცს დღიურით სარგებლობს, მეორეს ერთი ხელის დადება ნაჭერიც არ მოეპოვება.

ქართლ-კახეთში ზოგ თავადს და მინგრელსკის ლეჩხუმ-ოდიშში რამდენიმე გერმანულ სამთავროზე მეტი მიწა-წყალი უჭირავთ, იმავ დროს კი მათ მეზობელი სოფლის კაცებს თავის კუბის მოსაქნევი ადგილი არ მოეპოვებათ.

სახელმწიფო მიწების გვერდით ჩვენში სოფლის კაცს არა აქვს მტკაველი მიწა, სახელმწიფო ტყის პირად მცხოვრებს ღობის წკნელი საყიდელი აქვს.

ამ მიწების, დღეს უქმად მდებარის, გამოყენებას ფიქრობდნენ რუსების დასახლებით. ქართველი გლეხები კი ბ-ნს მაშკოვსკის და მისს დამქაშებს არც ახსოვდათ, ხოლო როცა გაიხსენებდნენ, მაშინაც იმიტომ, რომ მათთვის ყოფა წაემწარებინათ.

მაგალითად.

დედოფლის წყაროზე (თუქურმიშა, Царские колодцы) ცხოვრობს 60-დე მოსახლე მინადარი ქართველი იჯარით აღებულ სახელმწიფო მიწაზე, აქვთ მხოლოდ ას ასიოდე საჟენის ეზოები. სახნავი არ ეოეპოვებათ სულ. ჰქონდათ რვა წლის წინათ იჯარით აღებული სახნავ-სათესი, ზომით სამასიოდე დღიური. მაგრამ ჩამოართვეს. ბევრს ეცადნენ დედოფლის წყაროელები, მაგრამ არც მათი ნაქონი მიწა დაუბრუნეს, არც იქვე მდებარე სხვა ნაჭერი სახელმწიფო მიწისა მისცეს. „თავისუფალ მიწის ფონდს ვერ გავფლანგავთო", ჩემის თანდასწრებით უთხრა დედოფლის წყაროელ ქართველების ვექილს მიწის-მომწყობ კომისიის ხელმძღვანელმა. თითქო ხალხი გაეჩინოს ღმერთს მიწის ფონდისათვის და არა მიწის ფონდი ხალხისათვის.

ქიზიყის თოთხმეტ სოფელს, 50000 სულს, მევენახეობის მიმდევარს, დღეს ჰიგო საყიდელი აქვს, რადგანაც სახარდნე ტყეც კი არ მოეპოვება. უხსოვარ დროიდან კი ჰქონდა საუკეთესო თვალუწვდენი და უღრანი ტყე ალაზანს გაღმა, რომელიც ამ თოთხმეტიოდე წლის წინად სახაზინო უწყებამ ჩამოართვა მათ და გადასცა რუსის მოახალშენეთ, რომელნიც დამკვიდრდნენ ქიზიყელების მოშენებულ ტყითა და მათგანვე გაპოხიერებულ მიწითა.

გურიაში, სადგ. ნატანებიდან თორმეტიოდე ვერსზე, უხსოვარ დროიდან დაცული იყო ღარიბ ხალხისათვის უღრანი ტყე, რომელსაც სახელათაც „საღარიბო" ერქვა.

ამ ბოლო წლებში სახაზინო უწყებამ ეს ტყე გადასცა რუსის მოახალშენეთ და ისინიც ისე დაკვეთნენ გურულებისაგან გაშენებულ და გაპოხიერებულ მიწათა, როგორც ალაზანს გაღმა ტყითა და მიწით სხვა რუსის მოახალშენენი. ბინადარი ხალხი კი მათგან ყიდულობს მამასისხლად ღობისთვის საჭირო წკნელს.

დღემდის თუ ასეთს სულის შემხუთველ გარემოებას ვითმენდით, ამას შეიძლება, მოსაბოდიშებელი მიზეზები ჰქონდა, ხოლო დღეს მუშა ხალხის უპირველეს საჭიროებას ამ საქმის მოგვარება შეადგენს.

საქმე კი თავისთავად ძნელია და რთული.

მისს გამოსარკვევად, პრაქტიკულ ნიადაგზე გადასაწყვეტად და ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ყველა აღმასრულებელ კომიტეტებმა ეხლავე აირჩიონ თავიანთ წევრთაგან ერთი კომიტეტი, საერთო სრულიად საქართველოსთვის.

ყველა საკითხების გადადება შეიძლება ერთი-ორი დღით, ამისა კი—არც ერთი საათითაც.

ხალხს საკუთარ მიწაზე დავადგმევინოთ ფეხი, თუ გვინდა, რომ მან ბოლომდე გაგვიმაგროს ზურგი.

თორემ ის ახლაც ისე მალე ჩამოგვშორდება ჩვენც, როგორც ამ თორმეტის წლის წინედ ჩამოშორდა მყვირალა კაცებს, როცა დაინახა, რომ მათს ყვირილს საქმე არ მოჰყვა.

ილია ჭყონია.

## რუსეთის რევოლუცია

მოხკოვი

წინათქმა.

დიდი წინასწარმეტყველება, ან დიდი სკეპტიკობა არ არის საჭირო იმის სათქმელად, რომ საქვეყნო ისტორიისთვის რუსეთის რევოლუცია მხოლოდ ერთი ეპიზოდია გძელ სიზმარში... ხოლოდ ერთი რამ დღესაც-კი აშკარაა; თვითონ რუსეთისთვის ეს მომენტი ძალიან დამძიმებული იქნება შედეგებით.

თუ დღეს-დღეობით არაფერთი იყო იმისთანა, რომ ეხმილა ამ დიდი გრიგალის ამოვარდნა და მიმდინარე ამბები გაოცებასა და გაკვირვებას იწვევს თითქმის ყველა წრეებში, უკიდურესს მემარცხენეთა გამოუკლებლად, საზოგადოთ რუსეთი ყოველთვის იყო, რადაც გამოურკვევლობის მისტიურ შიშის ნისლში.

ყველა უცხოელი, ვისაც გაუვლია ამ ქვეყანაში, სცდილობს მისცეს რუსეთს ზღაპრული იერი. რასაკვირველია, რუსეთი მოკლებულია ზღაპრის იმ ბრწყინვას, რომლის სხივით ანათებს ძველი არაბული სტილი. აქ არ არის სიჭრელე სახეების, სადებავების კვილი, მაგრამ მუდამ მოსაწყენი თოვლის უდაბნო ველები ჩრდილოეთის განათებით და მკვიდრის ხალხით აღდგენს ხსოვნაში და დამატებით ხატავს ისტორიის ფრაგმენტებს სკვითების გადასულ ყოფიდან, რომელსაც ემატება მონგოლური ნიაღვარის ნაწვეთები.

თუ საზოგადოთ მესსიანიზმი ხილოვნური შერჩევაა სადებავების და ხანდისხან გულწრფელი გაყალბება ისტორიულ ფაქტებისა, რუსეთის მესსიანიზმს ამ შემთხვევაშიც უპირატესობა აქვს.

ჭეშმარიტად უჩვეული იყო ყველაფერი ამ ქვეყნისთვის, ისე არსად არ დაახლოვებია ისტორია ზღაპარს, როგორც აქ. გასაკვირი არ არის, რომ ევროპელისთვის რუსეთი ერთი ულამაზო სფინქსია, მოკლებული საიდუმლოების იმ პოეზიას, რომელიც ეგვიპტელებმა დამარხეს თავისთავთან. ერთად, მაგრამ მაინც სფინქსია. ამას ეჩვევა ევროპელი, როცა პირველად შეხედავს შეუნებულად გეოგრაფიულ რუკაზე რუსეთის სიდიდეს და გულწრფელად არ სჯერა, რომ ეს ვეებერთელა ქვეყანა, ისტორიისთვის ასე უცნობი იყოს.

რუსეთი თვითონ რუსებისთვისაც ამოცანაა. სკვითური დაჟინებით ცდილობს რუსი მწერალი ჩაწვდეს მის სიღრმეს და გაანათოს მღვრიე სული... მაგრამ აქ მეორდება ძველი და მტანჯველი ამბავი:

— როცა უფსკრულში ჩახედავ, უფსკრულიც შეგხედავს თვალებში.

ამ უფსკრულის საიდუმლოებით შეხედვით არიან გაგიჟებულნი, ვისაც ბევრი უფიქრია რუსეთზე. პეტრე ჩაადაევს ვერ უშველა ფხიზელმა ჭკუამ და ფრანგულმა სკეპტიციზმმა, სიგიჟით გაათავეს გოგოლმა, დოსტოევსკიმ და ჩვენ თვალის წინ ამთავრებს ამ ციკლს ანდრეი ბელი, რომელმაც ომის წინ იწინასწარმეტყველა დღევანდელი ამბები.

„თუჯის მხედარი" (Мѣдный Всадникъ) იქცა ახალ რუსეთის სიმბოლოდ. უფსკრულს გადადგომია უზარმაზარი მხედარი, უკანა ფეხებით ცხენი დადგომია გველს, რომელიც ტკივილისაგან იგრეხება, წინა ფეხები კი იკარგება ჰაერში, თითქო მოელის უფსკრულში გადაშვებას.

რუსეთში კატასტროფას ისე მოელიან, როგორც ღამის შემდეგ დღეს. იყვნენ 05 წლის ოქტომბრის დღეები, იყო ცუსიმა და შემდეგ ეს ომი. ცალ-ცალკე ყველა ეს დატა ითვლებოდა „რისხვის დღედ", მაგრამ ეს დღე მხოლოდ ახლა დადგა და ისე, როგორც ღვთისმეტყველიდგან ნათქვამია ანაზდათ და მოულოდნელად.

დღეს იწყება რუსეთის განკითხვა, მისი ყველაზე ძლიერი გამოცდა. ისე არადროს არ ყოფილა დატვირთული და დაჭიმული მისი ბედის სასწორი, როგორც დღეს.

ძველი რომაული მატრონების კივილი:

— მტერი ჭიშკართან არი...

უფრო ფიგურალი თქმაა, რუსეთის ჭიშკარი დიდი ხანია გაიღო და ამიტომ მეტი სიფიცხე ეძლევა ამ შეძახებას, ამასთან თითქო იბადება ტანჯვაში ახალი რუსეთი, მაგრამ შესძლებს იგი გამტკიცებას და დამკვიდრებას, თუ ისტორია კიდევ გაიმეორებს კომუნის დღეებს?

კომუნამდი საფრანგეთმა ორი რევოლიუცია გაიარა, საერთო კულტურულ ფონს ამ შემთხვევაში სამოქალაქო ცხოვრების დიდი გამოცდილებაც წინ უძღოდა. მართალია, კომუნის შემდეგ დრომ განვლო, დრომ ბევრის სწავლება იცის, მაგრამ მაინც ამ შემთხვევაში ძალიან დიდია განსხვავება...

მივხედოთ ამბების სვლას.

### პირველი დღეები.

ეს ამბავი ძალიან უბრალოა. აწეული ფათოსი უთუოდ ყალბი იქნება, თუმცა ბევრი მაინც ვერ იშორებს ამას. თუ რაიმე სასწაულზე და აუსპიციებზე მივა საქმე, მხოლოდ ერთი უნდა ითქვას, რომ წელს რუსეთში უჩვეულო და სასტიკი ზამთარი იყო. ას სამოცდა ათ წელში არ ახსოვთ ამგვარი სიცივეები.

ისე არაფერი გულისხმობდა მეხის დაცემას. თებერვლის მიწურულში, როცა სასურსათო კრიზისი მართლა კრიზისს მიაღწა, როცა ისე გაიზარდა მაღაზიების წინ „კუდები", რომ ქუჩებში გავლა არ შეიძლებოდა, შუაღამიდან რიგში დამდგარ მოსამსახურეებს ყინვისგან სახეები დაუსივდათ და რიგში დადგომა თვითონ ბატონებმა და ლამაზად გამოწყობილმა ქალბატონებმა დაიწყეს და დუქნებში გახშირდა პლაკატების გაკვრა:

— არც თეთრი, არც შავი პური არ არი...

ჰაერში უკვე სხვა სუნი დადგა. მაშინ კეთილშობილთა სალონებშიც დაიწყეს სასურსათო კრიზისზე ბაასი და ეს სირცხვილად არ ითვლებოდა.

რასაკვირველია, რისხვის და კილვის საგანი მთავრობა იყო, იყვნენ ისეთებიც რომელნიც ამბობდნენ, რომ უბედურების დროს თვით ბუნებამაც გაილაშქრა რუსეთის წინააღმდეგ, რომ ყინვა და ქარბუქი აფუჭებს გზებს, ვაგონები და ორთქლმავალები დაცვდა და შემოკლდაო.

ტ. ტ—ძე.

## მიტინგი მცხეთაში

19 მარტს მცხეთის სამამასახლისოს მცხოვრებთა მიტინგი გაიმართა სვეტიცხოვლის ტაძრის გალავანში. მშვენიერი მზიანი დღე იდგა. გლეხობა მახლობელ სოფლებიდან თან და თან ემატებოდა და იკრიბებოდა ტაძრის გალავანში. ბოლოს გამოჩნდა მომღერალთა გუნდი, რომელიც წითელი დროშის გარშემო მშვენივრად მღეროდა „თამარის დროშა გაშალეთ". თბილისის მუშათა საბჭოს სახელით ილაპარაკა ბ-ნ ე. დარჩიამ. მან მოუწოდა დამსწრეთ ებრძოლონ ძველი წყობილების მომხრეთ სოფელში, შეკავშირდნენ და მხარი დაუჭირონ დროებით სარევოლიუციო მთავრობას. შემდეგ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სახელით ილაპარაკა დ. არონიშიძემ. მან ხაზი გაუსვა თავისუფლების მოპოვების დიდ მნიშვნელობას კერძოდ საქართველოსათვის, რომელიც ძველი მთავრობის უღელქვეშ იტანჯებოდა ორნაირად: როგორც ქვეშევრდომი და როგორც ერი. აღნიშნა, რომ თავისუფლების დამყარებას არავითარი ფასი ექნება, თუ ადგილობრივ კანონმდებლობით უფლებას არ მოიპოვებს თავისუფალი ერიო, და ამიტომ მოუწოდა დამსწრეთ იბრძოლონ ეროვნულ მართვა-გამგეობის დამყარებისათვის, რომ თავისუფალ რუსეთში ადგილი ჰქონდეს თავისუფალ საქართველოსაცაო. ილაპარაკა არსებულ მდგომარეობისა და სოციალიზმის მნიშვნელობის შესახებ ნ. ცერცვაძემ. მცხოვანმა ორატორმა, სხვათა შორის, მოიგონა სახელმწიფო სათათბიროში აკაკი ჩხენკელის ცნობილი სიტყვა, რომელშიაც მთავრობას

ამტყუნებდა კანონების დარღვევაში და აღნიშნავდა: საქართველო მოითხოვს არა თუ ერობას, არამედ სრულ განთავისუფლებასაც, ვინაიდან ის რუსეთთან ტრაქტატით იყო შეკრული და „მოკავშირის“ სახელით იწოდებოდაო. ორატორმა უსურვა დამსწრეთ, რომ თავისუფალ რუსეთში განხორციელებულიყოს სრული ეროვნული თავისუფლება საქართველოსიო.

ჯარის კაცთა საყურადღებოდ ილაპარაკა რუსულად თბილისის ჯარის კაცთა საბჭოს წარმომადგენელმა. ბოლოს მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის აზრი იყო გატარებული, რომ ვიბრძოლებთ დამფუძნებელ კრების მოწვევისა და დემოკრატიულ რესპუბლიკის დამყარებისათვის, რომლისაც ყველა ერებს და კერძოდ საქართველოს უნდა მიენიჭოს სრული ეროვნული თავისუფლება თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლადაო.

მოხდა ერთგვარი უსიამოვნებაც, რომელსაც იქვე არ გამოუწვევია შენიშვნა სხვა და სხვა მოსაზრებათა გამო. შეიძლება ლაპარაკი ამა თუ იმ პარტიის სახელით, მაგრამ კრებას რომ თავზე მოახვიო და აძახებინო—გაუმარჯოს ამა და ამ პარტიასო, ეს პირდაპირ შეუწყნარებელია. ამას ჩადიოდნენ სოც.-დემოკრატების ორატორები 1905 წელს და საწყენაროდ ესევე გაიმეორა ბ-ნ გ. დარჩიამ მცხეთის მიტინგზე მეორე თავის სიტყვაში. როდესაც ამას სჩადიოდა ის, უნდა სცოდნოდა სულიერი განწყობილება იქ შეკრებილთა, რომელნიც რუსულ და ფრანგულ მარსელიოზას ამჯობინებდნენ „თამარის დროშა გაშალეთ“-ს და თან ჰკითხულობდნენ: „მოგვხედა ღმერთმა, ეგებ ქართველობაც განთავისუფლდესო“!

ბოლოს, მიტინგმა მიიღო დ. არონიშ ძის წინადადება, რომ შემდგეს საგუბერნიო გლეხთა საბჭოები მსგავსად მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოებისა.

დამსწრე.

## წერილი ფრონტიდან

მოთმინება არ მყოფნის ვრცლად გადმოგცეთ ის განუსაზღვრელი აღფრთოვანება, ჯარში რომ გამოიწვია რომანოვთა დინასტიის დამხობამ.

თავისუფალ რუსეთის ბრწყინვალე სხივმა, თუმცა გვიან, მაგრამ თვისი შუქ-მფენი ძლევა-მოსილებით მიწურებში მყოფ ჯარს მაინც გვამცნო, რომ რევოლიუციამ გაიმარჯვა, დაეცა დესპოტი, შემომრკავი თავისუფალ აზროვნებისა, და გუშინდელმა მონამ თავისუფლების დროშა აღმართაო. ამ დიდად ისტორიულ აქტს ჯერ კიდევ ჩვენამდე ვერ მოუღწევია, რომ მოპირდაპირე სანგრებში მყოფ ავსტრიელთა ჯარებმა სურათის საშუალებით მოგვილოცეს რევოლიუციის გამარჯვება, თავისუფლება.

ვითვალისწინებ რა ყოველსავე მომხდარს, თავი სიზმარში მგონია. თავისუფალი რუსეთი, თავისუფალი ერი...

უკვდავ-ჰყავი სალამი, ვაშა და დიდება რუსეთის ხალხს მტერზედ ბრწყინვალე გამარჯვებისათვის! საუკუნო ხსენება რევოლიუციაში დახოცილთ. მათის სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე შენდება თავისუფალი ქვეყანა სამართლიანობისა.

ამასთანავე ვულოცავ ჩემს სამშობლო მხარეს აბსოლიუტურ რუსეთის დამხობას, ვულოცავ ქართველ ერს პოლიტიკურ უფლების აღდგენას საქართველოს დემოკრატიულ პარლამენტით, რომელიც უნდა მივიღოთ რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიისაგან. ვაშა საქართველოს ავანგარდ დემოკრატიას მის ნაყოფიერ მუშაობისათვის. ამ უკანასკნელმა უნდა განვლოს მეტად მძიმე, პასუხსაგები მომენტი. საჭიროა ერთსულოვანი, ოპოზიციონურ-დემოკრატიულ კლასებთან მწყობრი, შეთანხმებული მუშაობა და მით ძვირფას თავისუფლების შენარჩუნება. მეზობელ ერებთან დიდი სიფრთხილე და ლმობიერება. ფრონტის ჯარში ერთსულოვანი განწყობილებაა.

ჯარისკაცი ლადიმე გადაჭკორია.
ავსტ. ფრონტი.

## დაბა-სოფლები

ს. ყაზბეგი (სტეფანწმინდა). 12 მარტს აქ შესდგა დიდი მიტინგი. მიტინგს ხალხი ყველა ახლო-მახლო სოფლებიდან მოაწყდა და ადგილობრივ ჯარისკაცნიც დაესწრნენ. პარაკლისის შემდეგ მღვდელმა ბ. ლუდუშაურმა გააცნო ხალხს პეტრეს ქალაქში მომხდარი ამბავი, ახალ მთავრობის გამგეობა და მათი მოქმედება, ხოლო დამარცხება და სამუდამოდ განსვენება ძველის მთავრობისა და მისის რეჟიმისა. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. ხალხი ყველა ორატორებს ვაშას ძახილით შეხვდა. მრავალ ჭირნახულ მყინვარმა და თერგმა თვისი ხმა შეუერთა ხალხის ხმას და მოჰფინა მთელს არეს.

ხალხმა ერთხმად მოითხოვა ძველ მოხელეთა გადაყენება, რაც მყისვე იქმნა შესრულებული. ჩამოართვეს საერობო დარაჯებს იარაღი, მოითხოვეს ბოქაულის დატუსაღება, როგორც ყოვლად საზიზღარ ადამიანისა.

კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: თანაგრძნობის დეპეშა გაეგზავნოს ახალ მთავრობას პეტრეს ქალაქში, ომის განგრძობა მტრის დამარცხებამდე, საქართველოს ავტონომია და აღდგენა საქართველოს დაობლებულ ივერიის ავტოკეფალურ ეკლესიისა. კრებას, „დეზერტირებმა“, რომელთა რიცხვიც 40 კაცს აღემატებოდა, განუცხადეს სურვილი დღესვე დაუბრუნდნენ თავიანთ პოზიციებს.

ვეფხვი.

—

გურია. გურიის სამღვდელოება აღტაცებით მიეგება ჩვენის ეკლესიის ავტოკეფალობის აღდგენას. გურიის უმთავრეს პუნქტებში მოხდა მრავალ რიცხოვანი კრებები სამღვდელოებისა, ერის კაცთა თანადასწრებით. გამოგზავნა თბილისში მისასალმებელი დეპეშები. მთელი გურია ნაცვლად ათის საკეთილმოწყობო ოლქისა გაიყო სამ სამმო საოლქოდ. თვითეულ ოლქში იქნა არჩეული მცოდნე და ავტორიტეტულ პირთაგან შემდგარი საოლქო საბჭოები, რომლებმაც იკისრეს მოწესრიგეთა მოვალეობანი და სხვა უფლებანი, რომელნიც ნებას აძლევენ მათ ცხლავე განახორციელონ ზოგიერთნი დემოკრატიული რეფორმები სამრევლოებში, მაგ. სამრევლო საბჭოების არჩევა და ს. შეიტანონ ხალხში შეგნება განახლებულ ეკლესიური წესწყობილების მნიშვნელობისა. დაიცონ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებში საეკლესიო საქმეები და მიიღონ მონაწილეობა იმათს საქმეებში ამ უკანასკნელთა თანხმობით; საერთოთ, შეიტანონ ხალხში საეკლესიო და სარწმუნოებრივ საკითხებზე სწორი შეხედულება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სამეგრელოს სამღვდელოებამაც. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ კრებებზე არ ჰქონდა ადგილი ერთმანეთის განქიქებას და ცოდვების გამოძებნას. ყველანი იმ აზრის იყვნენ, რომ იწყება ახალი ცხოვრება და ყოფაქცევითა და მოქმედებითაც განვახლდეთო.

დამსწრე.

## შემოწირულებანი

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისათვის შემოსწირეს: ოცდახუთ-ოცდახუთი მან.: ვლ. სიდამონ-ერისთავმა და სულავამ; თხუთმეტ-თხუთმეტი მან.: მესხმა და ჯორჯაძემ; თითო თუმანი: გურგენიძემ და ნ. გეორგაძემ; ხუთ-ხუთი მან.: ჩაჩიაშვილმა, შოთაძემ, კვიტაძემ, კვიტაშვილმა და გიორგი ბაბუნიძემ; სამ-სამი მან.: ვას. გიკაშვილმა, დიომ. გველესიანმა, ვლ. მიქელაძემ; ორ-ორი მან.: ქარუმიძემ, თ. ზამბაკაშვილმა, კოლია საველოაშვილმა, კონ. ზურმუტიძემ, ვას. ქანცაურმა, გ. შანშიაშვილმა, თითო მან.: ჩიტაიამ, შ. შ. სხირტლაძემ, გ. ბაბუნაშვილმა, მიხ. კუპრაძემ, ბ. კურტანიძემ, სოლ. ძამუკაშვილმა; ათი შაური ივ. ტყეშელაშვილმა.

—

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სასარგებლოთ პატივი მაქვს წარმოვადგინო ოთხი თუმანი.

ვასილ ხომასურიძე.

—

რედაქციამ მიიღო შემოწირულება ნორიოს შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისგან 50 მანეთი ქართველ მოღვაწეთა აგარაკის ასაშენებელ თანხისათვის.

—

26-ს ამა მიმდინარე მარტს, სოფელ მარტყოფში (თბ. მაზ.) სამების ეკლესიაში, წირვის შემდეგ, მლოცველთ განვუმარტე ამ დიადის მომენტის მნიშვნელობა და გარდახდილ იქმნა პანაშვიდი სამშობლო ქვეყნის და ერის თავისუფლებისთვის თავდადებულთა სულთა მოსახსენებლათ. აქვე შეიკრიბა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისათვის ოცდაორი მანეთი და 35 კაპ. (22 მ. და 35 კ.) რასაც გაახლებთ ამასთანავე.

მღვ. ალექსი ეპიტაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი


მიიღება ხელის მოწერა

# სანდრო შანშიაშვილის თხზულებაზე

26 წიგნი

გამოვა შემდეგის სერიით:

ლექსები.
1. ცხოვრების გზაზე,
2. ტრფობის ნაშთი,
3. ხვედა მამულისადმი,
4. ბალი ხევდისა,
5. ხაგალობელნი,
6. წიგნი ხიმღერებისა,
7. ხუმრობით-ხამიჯნურო ჰანგები
8. ხაბავშვო იგავ-არაკები.

ლირიკული პოემები.
9. იდუმალი ხმები,
10. ოცნების ნარეხ,
11. ლანდები,
12. ორფეოს და ევრიდიკე,
13. იდუმალობის წინაშე,
14. ამირანი.

ეპიკურ-რომანტიული პოემა.
15. მედია და მშვენიერი ელენე,

დრამატიული პოემები.
16. ქალი გრძეული,
17. მეფე მგოხანი,
18. ბერდო შმანია,
19. იგერიკო,
20. შვების თავადი,
21. უგვირგვინო მეფენი,
22. ბედი მგოსნისა.

თარგმანები.
23. ფაუსტ გიოტეხი,
24. დონ-კარლოს შილლერისა,
25. კეისარ იმპერატორი კონ—ხა
26. უცხო ლირიკა.

ხელის მომწერისთვის ყველა წიგნები ღირს 15 მანეთად.

ფულის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად. პირველად 5 მან.,—მიიღებთ ათს წიგნს; მეორედ 5 მან.,—მიიღებთ კიდევ ათს წიგნს და მესამედ 5 მან. დანარჩენ წიგნებისათვის.

ვინც ოცს ხელისმომწერს იშოვნის, ყველა წიგნები უფასოდ დაეთმობა. ბიბლიოთეკებს ყველა წიგნები თუმნად დაეთმობათ.

მთავარი მისამართები თბილისში: წ.-კითხვის საზოგადოება, სასახლის ქუჩა—ვასილ ედილაშვილი; მოსკოვის ქუჩა № 4 „საქართველოს“ რედაქცია; ნიკოლოზის ქუჩა № 7—სანდრო შანშიაშვილი და „სახ. ფურცლის“ კანტორა. ხელის მომწერის ადრესი, სახელი და გვარი გარკვევით უნდა იქმნეს აღნიშნული

გამომცემელი ნარდონი.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

# „ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ თავართქილაძეს. (ფ.)

თევზის მრეწველნი

# ძმ. მეზვრიშვილები

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაიდლოვის-შვილთ, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშონნი“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიები მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება

ექიმი კბილისა

# ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი

# მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

# ივანე თიკანაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18. ტელეფონი № 11—82.

ექიმქალი

# ბ. მ. მუხაძე

იღებს ხადოხტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

გოლოვინის პრ. და ხამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

# ახალი აფთიაქი

პროვიზორის ბახდოლოვისა

ექიმი

# მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი

# ფონ-ირტელი

(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).

მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი ლოსტაკრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის $9^1/_2$-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.

ვრდიხის „914“ და „606“

შეშხაპუნება

ექიმი

# ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

# მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზუბალოვის ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი

# მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანტონის ძე

# კალანდარიშვილი

ყოფილი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ხილეული, მადნეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: მოითხოვონ და სმან უოველთვის მხოლოდ მიტროფანე

# ლალიძის

და ამხ-ს ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის ნამდვილი სამკურნალო წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გამშირებულია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების ყალბი ეტიკეტების მიმსგავსებით ნამდვილი ლალიძის წყლის ეტიკეტის ნიშანი შემდეგია




ქართულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია სავაჭრო სამრეწველო მინისტრის მიერ პეტროგრადში და თვით პრობკებსაც აწერია

„ლალიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლალიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მაღალი ღირსების მასალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანვე

# სუნი და გემოც საამური აქვს

წლ.

უპირველესი, რადიკალური და სწრაფი მასთან იაფი საშუალება

# სიფილისს,

სახსრების ავადმყოფობას, სახსრებისა და კუნთების ქრონიკულ რევმატიზმის, ნეკრესის ქარებს, საერთო გადამდებ ავადმყოფობას, ღვიძლის მოწამლულს, თვალის ავადმყოფობას, სიფილისის წყლულებს, წითელას, ხორხიმლის გამონაყარს, დამბლას და სხვას სასწრაფოდ კურნავს საქვეყნოდ ცნობილი შვეიცარიული სამკურნალო საშუალება პროფესორ რიხის

# იოდასტარინი

ნუ შეურევთ სხვა პატენტოვან საშუალებებში. პროფესორ რიხის პრეპარატი წმინდა სამკურნალო საშუალებაა, გასინჯულია საუკეთესო ევროპიულ კლინიკებში და სანატორიებში კურსების ფასი 32 მანეთი, ½ 16 მანეთი ¼ 8 მანეთი, ყოველი მილი 4 მანეთი და 50 კ. ღირს. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთი მანეთის ბეის მიღების შემდეგ. ვისაც რაიმე მოლაპარაკება და პრეპარატის შეკვეთა სურთ, მიმართეთ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16—6—4. სახელმწიფო ბანკის ახლოს.

Тифлисское Отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторіи, Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—4. противъ Государственнаго банка.

# ქარებს (რევმატიზმის), ნეკრესის თირკმელების (ჭაჭების)

და სხვა ამგვარ ავადმყოფობის დროს უებარი წამალია „ურონალი“, და მაზი წასასმელი „ატრო“, სრულიად უვნებელია და მოქმედებს ძლიერ კარგად. ფასი „ურონალისა“ ხუთი მანეთი და მაზისა სამი მანეთი. მთელი წამლობისათვის საჭიროა ოთხი ფლაკონი „ურონალი“ და ოთხი კოლოფი მაზი „ატრო“. სხვა ქვეყნებში იგზავნება ხუთ მანეთის ბეს შემდეგ. დასაკვეთად და მოსალაპარაკებლად უნდა მიმართოთ მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას.

თბილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16: გან. 6—9, სახელმწიფო ბანკის მახლობლად.

Тифлисское Отдѣленіе Парижской-фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Мемиковская № 16, отд. 6—9. Противъ Государственнаго Банка.

# სუსუნატით (გონორეა) ავადმყოფებს,

რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდძალი ფული დახარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძინენ ცნობილ საშუალებას „რეზუროლინი“, რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ბისას და სხვ.

# რატომ

ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება?

# იმიტომ, რომ,

ჯერ ერთი, დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.

მეორედ, იმიტომ, რომ მართლაც ძნელია ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა.

მაგრამ ყველა ავადმყოფმა, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს უებარი „რეზუროლინი“. სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა, რომ

# „რეზუროლინი“

ნამდვილად არჩენს სუსუნატს. მთლად მოსარჩენათ ახალი ავადმყოფისა ღირს 21 მანეთი და ძველებურისა 35 მან. 50 კ. მთელი წამლობა შეადგენს ორ საშუალებისაგან სხვა. ქვეყნებში იგზავნება 5 მანეთის ბეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებაში: თბილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 16, განყ. 6—1, სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.

За заказами и справками обратиться въ Тифлисское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорисъ-Меликовская, № 16, отд. 6—1, напротивъ Государственнаго Банка.


სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.